№ 3031
კვირა,
19 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3031
კვირა,
19 მარტი

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ღვ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

სოფიო, თამარ, შურა, ანიკო, ნიკოლოზ, ივანე, გიორგი და მღვ. ბართლომე ჩხარტიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი—დაუვიწყარ ქმრის, თამარ, შურა და ანიკო—ძვირფას მამისა, ნიკოლოზ—საყვარელ შვილის, ხოლო დანარჩენნი—ძმის

ესტატე ნიკოლოზის ძის ჩხარტიშვილისას.

გამოსვენების დღე ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დანიშნულია კვირას, 19 მარტს, დილის 10 საათისთვის, პანაშვიდები გადახდილ იქნება ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, ბაქოს ქუჩაზე, № 18. (2 1)

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პელაგია სვიმონის ასული ფორაქაშვილისა,

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის შვილები და რძლები: **დავითი და სვიმონ ილარიონის ძენი და მაკრინე ილარიონის ასული ფორაქაშვილები, ნინო ილარიონის ასული რატიშვილისა, ელისაბედ ილარიონის ასული ქართველიშვილისა და რძლები: თინათინ გიორგის ასული და სოფიო დიმიტრის ასული ფორაქაშვილებისა.**

პანაშვიდი შაბათს, 18 მარტს, საღამოს 7 საათზე, გასვენება კვირას, 19 მარტს, დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ავლაბარი, მეტეხის აღმართი, ტაჩკოვის ქუჩა) გაასვენებენ წმ. მარინეს ეკლესიაში, სადაც დაკრძალავენ. (2—118—1)

დღეს, 19 მარტს ქ. დუშეთში დანიშნულია დაკრძალვა უდროოდ გარდაცვალებულის ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში ახლად კურს დამთავრებულ

ნინო მიხეილის ასულის ჩხაიძისა

რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მამა მისი მღვ. მიხეილ ჩხაიძე შვილებითურთ.

ტფილისის კლუბში. ქართული წარმოდგენა.

სამშაბათს, 21 მარტს, 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**

კრეჩინსკის ქორწინება

კომედია 3 მოქმედებად სუხოვო-კობილინისა თარგ. ა. ღულაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ოლ. ლეჟავა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, გედევანოვი, დ. ჩარკვიანი, იმედაშვილი, მუმლაძე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად „პირველი მერცხალი", „ხალხი", „ოტელო", „ამ დროის გმირები".

ადმინისტ. ვ. გუნია. რეჟისორი **ვ. ალექსი-მესხიშვილი.**

დუშეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი,

ნ. ლ. ყაზბეგი, სთხოვს ბ. ბ. თავადთა და აზნაურთ დუშეთის მაზრისას მობრძანდნენ ამ წლის 26 მარტს, დუშეთის სამხედრო ბეგრის მაზრის სამმართველოს სადგომში, შუადღის 12 საათზე და თან წარმოადგინონ სათანადო საბუთები ცენზის შესახებ (გამიჯვნის პლანები, ნასყიდობის აქტები და სხვა საბუთები კანონიერ მფლობელობის შესახებ), რათა შესწორებულ იქნას სია მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც ნება აქვთ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაში მონაწილეობის მიღებისა. (6. 2—1)

ახალი რესტორანი
„ავრორა"

ვინოსი, რომელსაც „არარატი" ეკუთვნოდა. მიხაილოვსკის ქ., ბერძენიშვილის სახლი, № 5, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად).

რესტორანი საუკეთესოდ არის მოწყობილი, სამაგალითო სისუფთავე, მშვენიერი საჭმელები და ზრდილობიანი მოპყრობა. რესტორანთან არის პატარა ბაღი და ცალკე კაბინეტები. მზადდება ყოველნაირი საჭმელები. ღვინო საუკეთესო ფირმებისა. როგორც საჭმელი, ისე ღვინო იაფად. სადილები: ორი კერძი, ერთი არაყი, ერთი სტაქანი ღვინო ან ლუდი—50 კაპ., სამი კერძი, ერთი არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—80 კაპ.; ოთხი კერძი, ერთი არაყი, ნახ. ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—1 მან.

მარტის დამლევიდან რესტორანთან იქნება **ბილიარდები** გოლცის ფაბრიკისა.

(თვ.—4) პატივის ცემით **ვანო და გიგო.**

ქუთაისის ქალაქის

გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ ამ წლის 28 მარტს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა ქალაქის საავადმყოფოს შენობის აგების საქმე. **ხარჯი განზრახულია 49822 მან. 84 კაპ.** ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ბე 300 მანეთი; ხელშეკრულების შესაკრავად-კი წარმოდგენილ უნდა იქმნას საიჯარო თანხის 10% ნაღდ ფულად.

ვაჭრობა საბოლოო იქნება.

პროექტის ხარჯთაღრიცხვის, დაწვრილებით პირობების და სხვა დოკუმენტების გასინჯვა და შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 მდე. (3—6.—1)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—2)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

ნ. ზ. ადაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.

ა. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დავიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ი. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ზ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ილჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ხოიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადოთ ოთახსა და ცალკე ოთახებს (1 50—56)..

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.

კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი საინიშვილისა.

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელისა. (14—კვ.—14)

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა მიღება საშარდეს და სიფილისიან ავადმყოფებისა, დილით 12—1 ს., საღამოთი 6—8 ს., კუკია. სემინარიის ქუჩა, № 20 (თვ.—7)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. ს. ბეთანოვი

იღებს ავადმყოფებს (ქალის, საბებიო, შინაგანი სნეულ.) ვლადიკავკავის და ტფილისის ქუჩების კუთხე, კომერციულ ბანკის სახლში. (30—81.—15)

ექიმი
ზ. ა. ბიდალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (300—5.—49)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირების გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,

მ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

მ. ზ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.

კ. ი. ზადილიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

ა. ა. ქალანტარიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ა. ი. ზარაბენენა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.

მ. ი. ბურაზნოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პოზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.

ნ. ზ. აზაიანი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятника Воронцова. (5—.)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 9 საათ.—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711 (50 120—2)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 5—7 ს.-მდე ყოლდანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარ სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ტფილისი, 17 მარტი.

ბიუროკრატიის კანონმდებლობა.

არასოდეს ისე ცოტა ხანში რუსეთის ბიუროკრატიას იმდენი კანონი არ შეუქმნია და არ გამოუქვეყნებია, როგორც უკანასკნელ თვეში. დღე არ გავა ისე, რომ ახალი კანონი ან პროექტი არ წავიკითხოთ გაზეთებში. რას ნიშნავს, რას მოასწავებს ახლანდელის მთავრობის ასეთი გამწვარებული მოღვაწეობა, ასეთი სისწრაფე? სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე სულ თვე და დარჩა. ამ ახალმა საკანონმდებლო დაწესებულებამ უნდა შექმნას ახალი კანონები. მაშ, რაღას იჩქარის ბიუროკრატია?

ცხადია, მის მოღვაწეობის მთავარი აზრი არის: სათათბიროს მოწვევამდე გაიმაგროს პოზიციები, სათათბიროში თავისი მომხრეები აირჩიოს და, მათ შეწევნით, დღეს გამოსული „დროებითი წესები" და კანონები დაადასტუროს. ასეთის „წინდახედულებას" იჩენს სამინისტრო და ამგვარად ჰსურს ბიუროკრატიის ბატონობა უზრუნველ-ჰყოს მომავალშიაც. რომ ვიტტე-დურნოვოს კაბინეტის კანონმდებლობას ასეთი მნიშვნელობა აქვს, თვით კანონების ხასიათი და მიმართულება ცხადად გვიმტკიცებს. ყველა პროექტებს და კანონებს ერთი აზრი ასულდგმულებს: რაც შეიძლება შეიზღუდოს მომავალი საზოგადოებრივი ძალა, გაქარწყლდეს ყოველგვარი თავისუფლება და ხელუხლებლად დარჩეს ბიუროკრატიის როლი სახელმწიფოს ცხოვრებაში. რომელ კანონსაც არ აიღებთ, თქვენ დაინახავთ, რომ სამინისტროს ხალხის სარგებლობა და სახელმწიფოს ნორმალურ განვითარების ინტერესი კი არ აფიქრებს, არამედ თავისი საკუთარი ინტერესი, თავის არსებობის დაცვის სურვილი. ამ განზრახვით უწინარეს ყოვლისა მთავრობამ დაამახინჯა ყველა ის თავისუფლება, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტით იქმნა დაპირებული.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ისეთ ნაირად შეჰზღუდეს, რომ ლამის წინასწარი ცენზურა მოანატრონ პრესსას. მართალია, „დროებით წესებით" ცენზურა მოისპო, გაზეთების გამოცემისათვის მხოლოდ განცხადებაა საჭირო და დახურვაც სასამართლოს განაჩენით შეიძლება; მაგრამ არაფერს ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან „ადგილობრივ გენ.-გუბერნატორებსა და გუბერნატორებს განსაკუთრებულს პირობებში ნება აქვთ გაზეთები შეაჩერონ" რადგან სასამართლოსაც ნება აქვს საქმის გარჩევამდე შეაჩეროს სასამართლოში მიცემული გაზეთები. გარდა ამისა გაზეთებს აკრძალული აქვთ მრავალ საგანზე სჯა-ბაასი; ხოლო უკანასკნელ დროს შემუშავებულ იქმნა ისეთი „დამატებითი წესი", რომელიც სრულიად სულს შეუხუთავს პრესსას. სახელდობრ, განზრახულია იმ სტამბების დახურვა დაწესონ, სადაც „მავნე მიმართულებისთვის" დახურული გაზეთი იბეჭდებოდა... ამგვარ ზომებით მთავრობამ უკვე აასრულა თავისი საწადელი: ჩააჩუმა უკიდურეს პარტიების პრესსა სრულიად და ოპპოზიციის გაზეთების არსებობაც შეუძლებელი გახადა.

კრების თავისუფლებას უარესი დღე დაადგა. დურნოვომ თავი არ შეიწუხა ახალ კანონის შემუშავებით; გადასწერა ძველი წესები, რომელიც „კონსტიტუციის" გამოცხადებამდე იყო ხმარებაში და ამნაირად წინანდელურად ადმინისტრაციის სრულს ნებაზეა კრების გახსნაცა და დახურვაც; წინანდელურად პოლიციის უბრალო მოხელე ესწრება კრებას და იმის ხელშია „კრების თავისუფლების" სვე-ბედი.

ამგვარივე ბედი ხვდა კავშირთა თავისუფლების საქმეს. გაადვილდა მხოლოდ უბრალო საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება; ხოლო თუ კავშირს რაიმე, სულ მცირე, პოლიტიკური ხასიათი აქვს, მისი დაარსება ისევ ძნელია და დახურვა ისევ ადვილი, როგორც წინად იყო. გაზეთის დახურვა კიდევ სასამართლოს ხელშია, რაც უნდა იყოს; მაგრამ კავშირის სვე-ბედი სულ ადმინისტრაციის ხელში რჩება. ნამეტურ დაამახინჯა სამინისტრომ მუშათა პროფესსიონალ კავშირების დაარსების საქმე. ასეთ კავშირსო უთუოდ მარტო ეკონომიური ხასიათი უნდა ჰქონდესო, პოლიტიკური მიმართულებისთვის კავშირი დაიხურება; ამასთან კავშირის დაარსება შეუძლიათ მხოლოდ ერთ გუბერნიის მუშებს და სხვა გუბერნიების იმავე პროფესსიის მუშებს ვერ შეუერთდებიანო. ამგვარად, პროფესსიონალ კავშირებს თავისი ძალა და ყოველი მნიშვნელობა ეკარგებათ.

ამგვარისავე ხასიათისაა ყველა სხვა კანონები და პროექტები და ჩვენ აღარ შევჩერდებით მათზე. მეტად საინტერესო მხოლოდ უკანასკნელ დღეებში გამოცხადებული წესები სათათბიროს უფლების შესახებ ბიუჯეტის განხილვის საქმეში. ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება უმთავრესი იარაღია ხალხთა წარმომადგენლობის ხელში. ამ იარაღით ებრძვის ხოლმე საზოგადოება მთავრობას, ამ იარაღით სარგებლობს თავისუფლების გასაფართოვებლად და ხალხის უფლების დასაცველად. და აი, ბიუროკრატიამ განიზრახა წინდაწინვე დაუჩლუნგოს ხალხს ეს იარაღი. ახლად გამოცხადებულის წესებით, სათათბიროს ნება არა აქვს განიხილოს ბიუჯეტის ის მუხლები, ის ხარჯები, რომელიც კანონით დაწესებულ შტატებზეა დაფუძნებული ან და რომელთა შესახებ უმაღლესი ბრძანებაა გამოცხადებული. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თითქმის ყველა ხარჯები „დაწესებულ შტატებზეა" დაფუძნებული და, ამასთანავე, მინისტრებს ყოველთვის შეუძლიათ ნება-რთვა გამოითხოვონ, დავინახავთ, რომ სათათბიროს როლი ბიუჯეტის საქმეში სავსებით იკარგება. მისი დანიშნულება, იქნება მხოლოდ დაამტკიცოს ბიუჯეტი, რომელსაც მთავრობა წარუდგენს, ესე იგი, ნამდვილ ტიკინას როლი აასრულოს. ძლიერი იარაღი, რომელიც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პარლამენტებს აქვთ მთავრობასთან საბრძოლველად და ხალხის უფლებათა დასაცველად, რუსეთის ბიუროკრატიამ იმდენად დაამახინჯა და გააფუჭა, რომ გროშადაც არ ეღირება...

ასეთია მთავრობის დღევანდელი კანონმდებლობა. მისი მიზანია მხოლოდ თავისი არსებობა დაიცვას; ხოლო დაახწევს თუ არა რუსეთი თავს იმ საშინელ კრიზისს, რომელშიაც იმყოფება, ეშველება რამე ხალხს —ეს ბიუროკრატიას არ აფიქრებს. „ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ იქნებაო",—აი დევიზი, რომელიც ასულდგმულებს ვიტტესა და მის ამხანაგობას. მაგრამ, მათი უბედურებაც ისაა, რომ „წარღვნა" შორს აღარაა და ვერავითარი „დროებითი წესები" და დამახინჯებული კანონები ველარ იხსნიან იმათ, ვისაც ახალი დროის მოთხოვნათა და ხალხის ინტერესთა გათელვა დაუსახავს ერთად-ერთ საშუალებად თავის არსებობის დაცვისათვის.

დასავლეთ საქართველოში

ზემო იმერეთი. წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ კვლავ უნდა გავახსენო ჩვენი ამბავი, რომელიც გარდა იმისა, რომ არა ერთხელ სმენია, თითქმის განმეორებაა იმისი, რაც წარსულ ორი თვის განმავლობაში მოხდა. არა ერთხელ გამიგონია ზოგიერთთაგან, რომ „მოგვწყინდა თქვენი და სხვათა საქართველოს ამბები და ეხლა სხვა უფრო საინტერესო ამბები გვაცნობეთო". ამ მხრით რომ შეხედოთ საქმეს, მართლაც მოსაწყენია ჩვენი მატიანე; მე მეტსაც ვიტყვი—მოსაწყენი-კი არა, გულ-საკლავი და გულსაწყალებელია, მაგრამ რა ვქნათ! როგორ არ ვილაპარაკოთ, როცა ჩვენ ღვიძლ-ძმას ოჯახს თავზე აქცევენ, როგორ არ ამოვიღოთ ხმა, გაზეთში მაინც როცა მთელი ერი ირბევა და მიწასთან სწორდება, როგორ დავკუმოთ პირი როცა მამის წინაშე ქალს... როცა ქმრის არ ერიდებიან! აკრძალვა ამგვარ საქმეზე გოდებისა და გმინვისა იგივე იქნება, რომ დედას უსაყვედურო, რათა სწუხარ შენს შვილზე, როცა ეს უკანასკნელი გაუკურნებელი სნეულებით იტანჯება.

ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაც ასეთია—არ აკმარეს ის, რა ტანჯვა და ვაება მიაყენეს წარსულ ორი თვის განმავლობაში და ეხლაც სტანჯავენ და ლამის უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანონ. განსაკუთრებული უბედურება თავს დაატყდა ზემო იმერეთს. დღე არ გავა ისე, რომ რამდენიმე სოფელი არ აწიოკდეს და ძირიან-ბუდიანად არ გაიხიზნოს სხვა სოფელში. ხალხის ლაპარაკს რომ დაუკვირდეთ ეხლა შორაპნის მაზრაში, ადვილად შეამჩნევთ, რომ ნაშრომ-ნაღვაწისა და წვრილ-ოფლით შენაძენის დაკარგვა ალარაფრად მიაჩნიათ და ფიქრი და გონება ყველასი იმაზეა მიმართული, რომ ქალები დაიხსნან. „არ დავეძებ, ბატონო, გაიძახის შორაპნელი გლეხი, არც სახლს, არც კარს და არც ოჯახს, ოღონდაც თავზე ლაფდასხმული არ გამხადონ ღვთის მტრებმა!" და მართლაც, მთელი იმისი გონება და მიხერხება იმაზეა მიმართული, რომ მიარიდოს, გადამალოს ცოლ-შვილი. მაგრამ მაინც ვერა გააწყო-რა! ქვესკნელში ვერ ჩაძვრა, ხოლო ამ ქვეყნად ისეთი ადგილი ვერ მოსძებნა, რომ ხვალის შიში არ ჰქონდეს.

10 მარტიდან 16-მდე შორაპნის მაზრის სხვა და სხვა კუთხეში გავატარე და გულ-გამგმირავსა და აუტანელ ტანჯვასა და გმინვას ხალხისას რომ ვერ გავუძელ, გამოვიქეცი სულ მოკლედ, თვალი და ყური მოვარიდე.

ქვითირაში ორი დღე დავყავი და ისე კაცს ვერ შევხვდი, რომ არ გოდებდეს. სახლების წვა თავის თავად მიდის და, მართალი უნდა ვთქვას კაცმა, უკანასკნელ ხანებში შემცირდა კიდეც, მაგრამ რათ უნდა გლეხ კაცს სახლი, როცა მისი მოწყობილება და ავეჯეულობა სხვის ხელში გადადის! ერთმა ქვითირის მცხოვრებმა, მითხრა შემდეგი: „იგერ ხომ ხედავთ იმ თკვერაში ორჯელ-სამჯერ დილა ადრიან შესხდებიან ცხენებზე და წავლენ. სად მიდიან ან ვინ ჰგზავნის ან რა აზრით, არავინ იცის, ეს კი ნამდვილად ვიცი, რომ საღამოზე დაბრუნდებიან ხოლმე, უნადავლი მოაქვთ. ამასაც გეტყვით, ყოველი ქვითირელი წყლულებულსავით თვალებში შემოგვჩერებია—იქნება სანუგეშო და გულ-მოსაფხანი მითხრას რამეო. მაგრამ რას ეტყვი, როცა უძლური ხარ, რომ რამე მალამო გამოუძებნო სენს.

ქვითირაში ყოფნის დროს მახლობელ სოფელ კაცხში შემდეგი ამბავი მოხდა: მისულან სოფელში, ჩვეულებრივ დაუვლ-მოუვლიათ და მოუმოქმედებიათ. სტუმრების მისვლა კაცხში გაუგია ადგილობრივ თავადიშვილს და აბა, თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, რა გული გაუძლებდა, რომ არ დაეპატიჟნა. მაშინათვე მონახა და მიიწვია სადილად. მასპინძელს რაც კი შეეძლო, თავი არ დაუზოგავს. სადილის დროს ორი კაცი შეუმჩნევლად გაპარულა და ერთი გლეხის ოჯახში ქალიშვილის გაუპატიურება მოუნდომებიათ იმ დროს, როცა იმისი დედა შინ არ ყოფილა. ქალის ბედზე, დედა მალე დაბრუნებულა და რა დაუნახავს თავისი შვილი სხვის ხელში, ჯერ ხელიდან გამოგლეჯა მოუნდომებია, მაგრამ ეს რომ ვერ მოუხერხებია, მეზობლებთან გაქცეულა და იქ შეუტყობინებია თავისი გაჭირვება. მალე მიშველებიან და ცოცხალ-მკვდარი ქალი ხელიდან გაუგდებინებიათ.

ეს ერთი მაგალითი მოგახსენეთ ძალ-მომრეობისა და მკითხველის თავის მობეზრებას რომ არ ვერიდებოდე, ათს, ოცს და მეტ მაგალითს მოვიყვანდი, მაგრამ ვინ არის

პატრონი, ვის გაუწვდინოს საშველად ხელი შეურაცხყოფილმა ხალხმა? მაშველი არსად არის და მდგომარეობა დღითი-დღე მწვავდება. ხალხი გარედ ვერ გამოდის და მამული დაუმუშავებელი რჩება. ვენახი ლამის გაფუჭდეს და მიუხედავად ამის ბევრს დღესაც გაუსხვლელი აქვს, დაბარვაზე და დათოხნაზე ხომ აღარავინ ფიქრობს. ამ ნაირად აწმყო თუ საშინელია, მომავალი უარესს უქადის.

მეორე ნაწილი შორაპნის მაზრისა, სახელდობრ ჩხარისა და ზესტაფონის საზოქალაქო, უარეს მდგომარეობაშია. აქ კიდევ შეტაკებებია აფ. მერკვილაძესა, შორაპნის მაზრის ადმინისტრაციის, ჯარსა და სტრაჟნიკებს შორის. მერკვილაძე ჯარს ემალება, ეს უკანასკნელი-კი ფეხდაფეხ დასდევს. დაიჭერენ თუ არა მერკვილაძეს, ეს საკითხი მომავალს მივანდოთ, ეხლა დავუბრუნდეთ ისევ იმ სოფლებს, სადაც უკანასკნელ ერთ კვირაში ჯარმა ან გაიარა ან და რამდენიმე დღე დაჰყო.

წინა წერილში გაცნობეთ, რომ ბოსლევის ტყეს ალყა შემოარტყეს მეთქი მერკვილაძისა და იმის ამხანაგების დასაჭერად. ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და მთავარ-სარდალი ბოქაული მახარაძე დილიკაურში დაბრუნდა და ყრილობა მოახდინა, რომ მთელი სოფლისათვის მოეთხოვნა მერკვილაძის გაცემა. სოფელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უპასუხა, ჩვენ არავის ვიცნობთ და თუ გზად გაივლის, ეგ რა ჩვენი ბრალიაო. ასეთის განცხადებით ბ-ნი მახარაძე არ დაკმაყოფილდა და პირადად ილია ქადაგიძეს მიუმართნია, შენ ინახავ იმათ და პასუხიც შენ უნდა აგოვო. ბევრი იფიცა ქადაგიძემ, რომ დამნაშავე არა ვარო. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ბოქაულმა თავის „დეპუტატებს" მიანდო ქადაგიძესთან საქმის გათავება. ამ უკანასკნელებს არც უცივებით და არც უცხელებით და ქადაგიძისათვის ურჩევიათ „თავი დაიხსენიო". ეს მოთხოვნილება რომ ვერ დაუკმაყოფილებია, მაშინ სტრაჟნიკებისათვის გადაუციათ და ამათ რაც-კი შესძლებიათ, იმდენი უცემიათ და თან სახლის დაწვას დამუქრებიან.

რა-კი ბოსლევში და დილიკაურში ვერ უპოვნიათ მერკვილაძე და იმისი კაცები, ჯარი ს. ხრეითში ასულა, სადაც ვითომდა მერკვილაძის აღმოჩენის აზრით მრავალი სახლი დაუჩხრეკია... აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ სისასტიკეში პოლიციის სტრაჟნიკებმა ყველას გადააჭარბეს. გასაკვირველი კიდევ ის არის, რომ ქართველი სტრაჟნიკები სხვებზე მეტად გაფთრებული და გაგულქვავებულნი არიან.

ხრეითიდან ჯარმა ჯერ ქვედა ილემი ინახულა მერე ზედა ილემში გადავიდა. აქ დაიწვა სახლი ნარიმან ცაგარეიშვილისა. ნარიმან ცაგარეიშვილი ხუთმეტ წელიწადს კუჩრად იყო ქუთაისის გუბერნატორად ხამყოფ ვ. ა. სტაროსელსკისთან, ცოტაოდენი ქონება შეიძინა და შარშან სამსახურს თავი დაანება და თავის სახლში დაბინავდა. ხანში შესულ ნარიმანს ვერავინ ვერ დასწამებს რაზმელობას ან სხვა ამის მსგავს რამეს...

ილემში რომ გაათავეს, ს. წევაში გადავიდნენ. წევა კარგა მოზრდილი ბაზრიანი სოფელია და სოფლელთა შორის ბევრია შეძლებული. ძალიან დაზარალდა სოფელი. სტუმრების გამოჩენა წევაში და მცხოვრებთა უმეტეს ნაწილის გახიზვნა ერთი იყო. ვინც სად მოასწრო, იქ წავიდა. სხვა თა შორის ერთი ახლად მოლოგინებული ქალიც გაქცეულა თურმე თავის ბავშვით ტყეში, სადაც მოუვლელობისა, შიშისა და სისუსტისაგან სამარის კარამდე მისულა. 15 მარტს წევიდგან შროშაში გადავიდნენ. იქაც ბევრი რამ მოხდა. მეორე რაზმი ჯარისა, მერკვილაძის დასაჭერად წასული ჭიათურისაკენ მოქმედებას...

ერთის სიტყვით, რაც დღე გადის, მით უფრო უარესდება ხალხის მდგომარეობა და იმედი კარგის მომავლისა არსად ჩანს. როგორც ეტყობა, ხალხის გმინვა და გოდება ჯერ კიდევ დიდ ხანს გასტანს. იკითხავთ, რა ნაირად უნდა აირჩიოს ხალხმა თავისი წარმომადგენელნი, როცა იგი დღე მუდამ იმის ფიქრშია, რომ თავის ოჯახი და ქალები გადაარჩინოს.

—

ეხლახან შორაპნის მაზრიდან შემდეგი ამბავი მივიღე: 16 მარტს წევაში, როდესაც იქ ჯარი ყოფილა, მოუკლავთ მ. გაჩეჩილაძე და მაღლაკელიძე. ეჭვ მიუტანით, ვითომ რაზმელები უნდა იყვნენო.

—

ქუთაისის საპყრობილეში ზის 14 იანვარს აქეთ რეზნიკოვი, რომელმაც დღემდის ვერ გაიგო, რად არის დაპატიმრებული, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯელ სცადა გაგება. იმით იმედ-მიხდილმა რეზნიკოვმა 7 ამ თვეს შიმშილი გამოაცხადა და 16 მარტამდე არაფერი უჭამა. ამანაც ვერ გასჭრა და ეხლაც არ იცის თავის დაჭერის მიზეზი. ქუთაისის საპატიმროშივე არიან ექიმი დონდაროვი და სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი ნიკოლაიშვილი, რომელნიც ხუთი წლით ადმინისტრატიულის წესით იგზავნებიან შიდა რუსეთის გუბერნიებში. ექიმ დონდაროვის დაპატიმრების შემდეგ ქალაქის საავადმყოფო თითქმის უქიმოდ დარჩა და ის ავადმყოფნი, რომელთაც ოპერაცია სჭირიათ, უექიმოდ რჩებიან. როცა ამა თუ იმ ავადმყოფის მდგომარეობა საშიშია და ოპერაცია აუცილებლად საჭიროა, ექიმი დონდაროვი გამოჰყავთ საპატიმროდან და ნებას აძლევენ ოპერაცია გააკეთოს. შემდეგ ისევ საპატიმროში მიჰყავთ.

—

16 მარტს აქეთ ქუთაისში განახლდა კერძო სახლების და სასტუმროების ჩხრეკა, რასაც რამდენიმე კაცის დაპატიმრება მოჰყვა.

—

გადაუყენებია თუ არა გენერალ ალიხანოვს სენაკის მომრიგებელი შუამავალი ჩიქოვანი სამსახურიდან, ქუთაისის გუბერნატორისათვის უცნობებია ეს გარემოება და უთხოვნია, ჩიქოვანის სამსახურიდან დათხოვნის წარდგენა გაგზავნე ტფილისშიო. როგორც ამბობენ, გუბერნატორს ამ მოთხოვნილების შესრულება შეუძლებლად უცვნია, რადგან სამსახურიდან გადაყენებულ ჩიქოვანის მოღვაწეობაში შეუფერებელი არა უნახავს-რა. ამის შემდეგ თითონ გენერალ ალიხანოვს წარუდგენია ბ-ნი ჩიქოვანი დასათხოვად.

როგორ აწარმოებენ „ქალაქის მამები" საზოგადო საქმეებს.

ვინ არ იცის, რომ ამ ოთხი-ხუთი წლის წინად ტფილისში პირველ ხარისხის ხორცი გირვანქა რვა კაპეიკად იყიდებოდა. დიდი ალიაქოთი ასტყდებოდა ხოლმე, რომ გირვანქა ცხრა კაპეიკად გაყიდულიყო. ის გარემოება, რომ ხორცი ხანდახან ცხრა კაპეიკად იყიდებოდა ქალაქის გამგეობაში და ხმოსანთა შორის დიდ ყაყანს და უკმაყოფილებას იწვევდა. ხშირად გაიგონებდით საბჭოში ამ გვარ სიტყვებს: „ნუ თუ არ უნდა გავიღვიძოთ, ნუ თუ დრო არ არის ხალხისათვის ვიზრუნოთ, ნუ თუ ქალაქის მცხოვრებნი სულ ამ ყასბების ხელში უნდა იყვნენ? ვის გაუგონია გირვანქა ხორცი 8—9 კაპეიკი? ჩვენს მამა-პაპას გირვანქა ხორცში თავის დღეში შაურზე მეტი არ მიუცია! დავაარსოთ ქალაქის ხორცის დუქნები და ჩვენ თვითონ ვივაჭროთ; მოგება არ გვინდა, მხოლოდ ხორცი იაფად ვყიდოთ, ისე რომ არც ზარალი გვქონდესო".

„დავაარსოთ, დავაარსოთ ხორცის დუქნებიო!" გაისმა ერთხმად ტფილისის საბჭოში და დაარსდა კიდეც დუქანი 1902 წელს მაისს.

საქმის დაწყებისთანავე, რასაკვირველია, ფული ბლომად დაიხარჯა შენობებსა, იარაღის შესაძენად და სხვა რამეებზე. დუქნებს ძველი ყასბები ჯიბრში ჩაუდგნენ და ქალაქმა ახლო-მახლო საკლავი ვეღარ იშოვა. იყო ისეთი დღეები, როდესაც ქალაქი უხორცოდ რჩებოდა ხოლმე. ბოლოს საქონელი შორიდან გამოიწერეს. ამ საქონელს რომ არ დაევლანა, იგი მოჰყავდათ ჩქარის მატარებლებით და ამ რიგად საქონლის მოყვანა ერთი ოთხად უფრო ძვირად ჯდებოდა. ორ თუმნიანი ხარი უჯდებოდათ ოთხ თუმანზე მეტი. „მამებმა" ბევრი იანგარიშეს, თუ როგორ უნდა გაჰყიდონ გირვანქა ხორცი, რომ არც ზარალი ნახონ და არც მოგება. ხორცი გაჰყვეს სამ ხარისხად. საშუალო ხარი, რომელიც ეხლა ქალაქის ანგარიშით ღირს სამ თუმან ნახევრად, შეიცავს ათ ფუთ ხორცს, ამ ათ ფუთში პირველ ხარისხის ხორცი არის სამი ფუთი, მეორესი—ექვსი და მესამისა—ერთი. ფასები ამისთანა იყო: პირველისა—11—12 კ. მეორისა—8—9 კაპეიკი და მესამისა—6—7 კაპ. მთელი ხარის ფასი შეადგენს: პირველის—13 მან. 20 კ., მეორისა—19 მან. 20 კ. და მესამისა—2 მ. 40 კ. გარდა ამისა ტყავი იყიდება—5 მანეთად, ნაწლევები, თავი, ფეხები, ენა—2 მანეთად და სუკიც 1 მანეთად. სულ მთლად სამ თუმან-ნახევრიანი ხარი—43 მანეთისა და 80 კაპ. მაშასადამე, თუ ამისთანა საკლავი მაშინათვე დაიკვლებოდა, ქალაქსა რჩებოდა მოგება თითო სულზე 8 მან. 80 კ. გარდა ამისა რჩებოდა არა ნაკლებ ორის მანეთისა ქონის ფული. ქონი თავის დღეში გაუყიდავი არა რჩებოდა, რადგან დიდი გასავალი ჰქონდა და აქვს.

მე ავიღე სულ უკანასკნელი ფასები იმისა, თუ როგორ იყიდებოდა ხორცი. ეს ანგარიში დამიმოწმეს რამდენიმა მცოდნე პირმა და ბეითლებმა.

დადგა პირველი იანვარი 1903 წლისა. „ქალაქის მამებმა" იანგარიშეს და ზარალი გამოვიდა. სთქვეს, ეს პირველი წელიწადია, ახალი საქმე იყო, ხამები ვეყავით და ამის შემდეგ არას გზით არ ვიზარალებთო.

გავიდა 1903 წელიწადიც და ისევ ზარალი აღმოჩნდა; გავიდა 1904 წელიწადი—კიდევ ზარალი. ამ ორი წლისა და ნახევარის ზარალი გამოვიდა 53,415 მან. 56 კ. კაი ფულია, არა, მკითხველო?!

დადგა 1905 წელიწადი. „ქალაქის მამები" ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ამ წელს ძალიან ფთხილად უნდა მოვიქცეთო. მაგრამ პირველ თვესვე იანვარში 1800 მანეთი აღმოჩნდა ზარალი მეორე თვეში, თებერვალში, წარმოიდგინეთ, აღმოჩნდა მოგება 1172 მ. 96 კ. (ალბად, იმისთვის, რომ მოკლე თვეა!), სამაგიეროდ—მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი—სულ ზარალი და ზარალი!.. განსაკუთრებით ქალაქი შეაფიქრიანა ივლისმა: ამ თვეში ზარალი იყო, 3,431 მან. 42 კ. ამის შემდეგ ქალაქს გაუჭირდა საქმის წარმოება. აღარა ჰქონდა ფული, რომ საქონელი ეყიდნა. ეხლა-კი სთქვეს, ხორცის ვაჭრობას უნდა თავი დავანებოთ, ისევ ყასბებმა ძველებურად ივაჭრონო, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქალაქის დუქნებს განაგებდნენ, საბჭოს კომისიის გარდა, ჯერ ალიხანოვი, მერე ბაბიავი და ბოლოს ჩილინგაროვი.

დაიწყეს საქმის ლიკვიდაცია. გაიგო თუ არა ეს ამბავი ამ დუქნების უფროსმა ზედამხედველმა ქ. ი. ჩილინგაროვმა, მაშინვე არზა მისცა გამგეობას: არას გზით არ შეიძლება ამ საქმის ლიკვიდაცია; ხორცის გაყიდვა სახეირო საქმეა, რა ვქნათ, რომ ზარალი ვნახეთ, ეგ სხვა და სხვა მიზეზების (?) გამო მოხდა; მაინცა და მაინც, თუ არ დაიშლით და საქმის წარმოება არ გინდათ, ეს საქმე მივანდოთ ქვემო-რუსეთის საქონლის ამხანაგობას; ეს ამხანაგობა მთელს ჩვენს წარსულს ზარალს აღვიდგენსო.

გამგეობამ ეს წინადადება მოიწონა და დაადგინა, რომ ჩილინგაროვს ამხანაგობასთან თითონ გაერიგებინა საქმე და ყველაფერი გამგეობისათვის მოეხსენებინა. ჩილინგაროვი ამის შემდეგ გაჩუმდა და არავინ იცის, მოლაპარაკება იყო, არ იყო ან რით გათავდა.

ქალაქმა, როგორც იყო, კიდევ იშოვა გროშები და საქმე ხორცის ვაჭრობისა მიაჩანჩალა 1905 წლის ნოემბრამდის. ამის შემდეგ მოხდა მთელი საქმის ლიკვიდაცია და აი რა გამოარკვია ამ ლიკვიდაციამ.

ამ 3½ წელიწადში ხორცის ვაჭრობით ქალაქმა იზარალა 67,718 მან. 33 კ. კასსაში უნდა იყოს ფულად 1426 მან. 82 კ., მაგრამ ის ფული იქ აღარ არის. უნდა იყოს, სხვა და სხვა ანგარიშების ძალით, აგრეთვე 1,015 მან. 85 კ. და კიდევ 312 მანეთი, მაგრამ ის ფულიც არსადა სჩანს. ქალაქს ქალაქის ხორცის დუქნებისთვის აუგია 8769 მან, 63 კ.-ს შენობა. ეს შენობები ეხლა სულ ზარალში უნდა ჩაითვალოს, რადგან საჭირო აღარ არის და არც არავინ იყიდის. ქონება მოძრავი ღირს 10,000 მანეთამდის ამ ქონებიდან ვერ აიღებენ მეხუთედსაც, ასე რომ ამისი ზარალი 8,000 მანეთამდე იქნება. სხვა და სხვა მოწყობილობაზედ დახარჯულა 785 მან. 87 კ. წიგნებში სწერია, რომ ლიკვიდაციის დღისათვის ნავთლუხის საყასბოში უნდა იყოს 45 მსხვილ ფეხა საკლავი (ღირებული 1711 მან. 94 კაპ.) და 8 ცხვარი და თხა (ღირებული 22 მან. 92 კ.), მაგრამ ეს საკლავიც აღარ აღმოჩნდა. ეს საკლავი, როგორც საქმიდანა სჩანს, გაუყიდნია უფროსს ზედამხედველს ჩილინგაროვს და წარუდგენია მხოლოდ 400 მან. ასე რომ დანარჩენიც—1334 მ. დეფიციტად არის ნაჩვენები. ლიკვიდაციის დღისთვისვე უნდა იყოს საყასბოში საქონლის რქები და ძვლები—366 მან. 99 კაპ. ესეც იმავე ჩილინგაროვს გაუყიდნია და წარუდგენია მხოლოდ 50 მან., ასე რომ აქაც ზარალია—316 მან. 99 კ. ამავე დღისთვის საყასბოში უნდა იყოს საქონლის ქონი 1,702 მან 67 კ. ეს ქონი გაუყიდნიათ ქალაქის მეითალს ბ. კანცელმახერს და იმავე ჩილინგაროვს ეს ფულიც ზარალში ჩაუგდიათ. საყასბოს ბუხჰალტერს ვერთანიანცს სხვა და სხვა ანგარიშებით წაუღია 2059 მან. 11 კ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს ჯამი გამოირკვა იმის მიერ წაღებულ ფულის. გამგეობა ამბობს, შეიძლება წაღებული ფული კიდევ აღმოჩნდესო. ეს ფული ჯერაც არ დაუბრუნებია გამგეობას ვერთანიანცისათვის ეს ფული მოუთხოვნია. იგი სწერს ხმოსანს ა. ბ. ევანგულოვს ბოდიშის წერილს და ამბობს, სხვა და სხვა გარემოებამ ჩამაგდო ამ დღეშიო, ვალი, მამა-ჩემი სახლს გაჰყიდის და მაშინ გავისწორდებითო. სხვა და სხვა პიროებისათვის მიუციათ ბოლოს ხანს 243 მან. რომელიც როგორც სხვა ფული ალბად აღარ დაბრუნდება დანიშნულისაკენ! ხორცის დუქნებს მისაცემი აქვს 7899 მან. 43 კაპ. ალაჰმა უწყის მიიღებენ თუ არა ამ ფულს. სამოვრის პატრონებისათვის საქონლის საშოვრად წინადვე მიუციათ 8,447 მან. 69 კ. ამ დღისათვის უნდა ჰქონდეს საყასბოს თივა 3830 ფუთი, ღირებული 934 მან. 57 კ., მაგრამ ეს თივა არსადა სჩანს.

ქალაქს ჰყავს დებიტორები (ვისაც ფული მართებთ) თვრამეტი კაცი, რომლებზედაც 5728 მ. 29. ითვლება მაგრამ ამ ფულიდან კაცმა არ იცის, რამდენი შემოვა. პირიქით ქალაქსა მართებს ხორცის დუქნების გამო სხვადასხვა პირის 3,500 მან. რომელიც სავსებით უნდა გადაიხადოს, როგორც ჰხედავთ, სულ ზარალი და ზარალი. მარტო აქ ჩამოთვლილი ზარალი შეადგენს 118,485 მან. 29 კ.

აი, რა გამოვიკვლიე ჯერ-ჯერობით ქალაქის ხორცის ვაჭრობის შესახებ სწორედ გასაოცარია, რად მოხდა ამოდენა ზარალი, სად წავიდა ფული, ვინ ჩაჰყლაპა? როგორც ზემოდ გამოვიანგარიშეთ, ხორცის გაყიდვა მაინც და მაინც საზარალო არ უნდა ყოფილიყო, ან თუ იყო ამოდენა ფული მაინც არ უნდა გადაეყლაპა. მაშ რა არის მიზეზი? რით აიხსნება, რომ ორი-სამი წლის ფული დღესაც არის დარჩენილი სხვა და სხვა პირზედ იმის გასასტუმრებლად ზოგი მამის სახლის გაყიდვას ელის, ზოგი კიდევ რას. რა მიზეზია, რომ „ქალაქის მამები „თავის დროზე არ აქცევდნენ ყურადღებას და ფული აქეთ-იქით ბზესავით მიდიოდა? ამ სამიოდე დღის წინად რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ ბ-მა ალიხანოვმა იმაზე დარჩენილ ფულიდან (?) 750 მანეთი გამოუგზავნა გამგეობასაო. რას ნიშნავს ეს? ალიხანოვმა ხომ თითქმის ორი წელიწადია, რაც თავი გაანება ხორცის დუქნის გამგეობას?...

ხვალ ქალაქის საბჭოს კრებაა. ამ კრებას უნდა მოეხსენდეს ხორცის დუქნის საქმე, ვნახოთ რას იტყვიან „ქალაქის მამები".

მერანი.

ახალი ამბავი

◆ **გენ.-გუბერნატორის ბრძანება „ცნობის ფურცლის" შესახებ.** „კავკაზ"-ში დაბეჭდილია ტფ. გენერალ-გუბერნატორის შემდეგი ბრძანება: ქართულს გაზეთს „ცნ. ფურ."-ში არა ერთხელ დაბეჭდილა ქუთაისის გუბერნიიდან ისეთი წერილები და კორესპონდენციები, რომლებითაც სცდილობს აღნიშნოს იქ მოქმედ ჯარის უწესო მოქმედება. თუმცა რედაქტორი უკვე გავაფრთხილე—ყურადღებით მოპყრობოდა თანამშრომელთა მიერ მიწოდებულ მასალას, გაზეთის ერთ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ იქნა კორესპონდენცია იმერეთიდან, რომელიც შემდეგ „ნოვ. ობოზრ."-მ გადაბეჭდა. ამ კორესპონდენციაში გაზეთი ათას რამეს აბრალებს ჯარს. აბრალებს სახლების ცეცხლის წაკიდებას, მკვლელობას, ქალების გაუპატიურებას და სხვას. ყველა ამის გამო ტფ. დროებითი გენერალ-გუბერნატორი წინადადებას აძლევს „ცნ. ფურ."-ს რედაქტორს, შვიდის დღის განმავლობაში წარუდგინოს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ამ შენიშვნაში დაბეჭდილი ამბები ნამდვილად მოხდა და არა მოგონილია კორესპონდენტის მიერ. ამასთან გენ.-გუბერნატორი აფრთხილებს რედაქტორს, თუ ამ ვადის განმავლობაში არ წარადგინა დამამტკიცებელი საბუთები, „ცნ. ფურცელი" დაიკეტება იმ დრომდე, ვიდრე ტფილისის გუბერნიისა და იმის მაზრაში სამხედრო წესები არ აიხსნება".

◆ **ახალი გაზეთის დაკეტვა.** გუშინ ბ-ნ ალ. მდივნის რედაქტორობით გამოვიდა ახალი რუსული გაზეთი „ნა პოვოროტე". გაზეთი გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით გუშინვე დაიკეტა, ალბად, „მავნე მიმართულებისათვის". ამ ერთ თვეში ეს მეოთხე გაზეთი დაიკეტა ერთისა და იმავე ჯგუფისა. აი ეს გაზეთები: „ვოზროჟდენიე", „კავკაზსკოე უტრო", „სოვრემენნიკი" და „ნა პოვოროტე".

◆ **„ნოვ. ობოზრ."-ს დაკეტვა.** გუშინდელ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია ტფ. გენერალ-გუბერნატორის ბრძანება. ამ ბრძანების ძალით, რუსული გაზეთი „ნოვ. ობოზრ." დაიკეტა „მავნე მიმართულებისათვის".

◆ **მიტინგები საქართველოს ამბების შესახებ.** როგორც „ნა პოვოროტე" გად-

---

ფელეტონი

გამოძახილი

საშინელი სიტყვები.—დურნოვოს მეჯლისი.—უცნაური კამათი.—ნუ იქნება მართალი!

არ ვიცი, არსებობს თუ არა სადმე ისეთი ბიუროკრატია, რომელსაც ისევე ეშინიან სიტყვებისა, როგორც რუსეთის ბიუროკრატიას. ზოგიერთი სიტყვები რუსეთში საფრთხობლად გახდა. ამ სიტყვების უბრალო წარმოთქმაზედაც კი ცივს ოფლს ასხამს ხოლმე საწყალ ბიუროკრატს. აი ეს ეს არის, მოვიდა, მიქელ გაბრიელი და სურს ცოდვილი სული ამოართვასო.

ისტორიკოსებს ჯერაც არ გამოუკვლევიათ, რა უფრო აშინებს ბიუროკრატს, სიკვდილი თუ საიქიოში გამზადებული ჯოჯოხეთი ცოდვილთათვის. არც ის არის ხეირიანად გამოკვლეული, რამ მისცა ძლიერება ზოგიერთ სიტყვებს, რომ იმათი გაგონებაც კი შიშის ზარსა სცემს რუსეთის ბიუროკრატს.

პსიხოლოგია გვასწავლის, რომ შიში შედეგია ძალოვან გრძნობისა, რომელსაც უწოდებენ თვით-დაცვას. ალბად საშინელი სიტყვები ემუქრება ბიუროკრატიის თვითდაცვას, რომ იმათი გავლენა ეგრე ძლიერია. თვით ბიუროკრატია კი არასდროს არ აცხადებდა, ე. ი. სცდილობდა არ გაემხილებინა, რომ იგი სიტყვების შიშ ქვეშ არის. პირიქით, ყველას არწმუნებდა, რომ იმას სიტყვებისა კი არ ეშინიან, ეშინიან საზოგადოების გახრწნისა, ეშინიან, რომ ზოგიერთმა სიტყვებმა ვნება არ მოუტანოს ცხოვრებას, და მხოლოდ იმიტომ ურჩევს საზოგადოებას განდევნოს თავის ლექსიკონიდან სიტყვანი იგინი. მაგრამ რადგან საზოგადოებაში ყოველთვის მოიპოვება ერთი-ორი ისეთი ბრიყვი წევრი, რომელსაც არა სჯერა გულწრფელი რჩევა ბიუროკრატიისა, საჭიროა, რათა უმრავლესობის კეთილი დაცული იყოს, ძალით გაჩუმება იმათი, ვინც მავნე სიტყვებს ხმარობს ლაპარაკში, ან წიგნში...

ბიუროკრატია განსაცვიფრებელის გულმოდგინებით ასრულებდა თავის მოვალეობას: უმოწყალოდ სდევნიდა სიტყვებს, უბრალო სიტყვებს.

ერთი ამ გვარი მავნე სიტყვა იყო—თავისუფლება. ბევრი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც ამ სიტყვამ დაჰკარგა საფრთხობელის ხასიათი. იყო დრო, როცა ამ სიტყვებისათვის, მხოლოდ სიტყვისათვის, ციხეში ალპობდნენ ადამიანებს, ან ენას ჰგლეჯდნენ და ხმას აკმენდინებდნენ. დღეს, მადლითა ღვთისათა, „თავისუფლებამ" მოქალაქობრივი უფლება მიიღო და ყველას შეუძლიან იხმაროს.

საწყალი სიტყვა—თავისუფლება იმდენი ხანი სდევნეს, იმდენი ხანი აწვალეს და სტანჯეს, რომ შინაარსი დაუკარგეს, გამოფიტეს და სიცოცხლის ნიშანიც კი აღარ დაუტოვეს. რასაკვირველია, „თავისუფლებამ" დაჰკარგა ძალოვანება და ეხლა უშიშრად დაჰქრის რუსეთის სივრცეზედ, ბიუროკრატიას იმასი აღარ ეშინიან: სიტყვა თავისუფლება ჰაერის შენძრევად გახადა,

ჰაერის შეძრევა კი რა საშიშია!

საშიში სიტყვა მაინც არ გამოლია ბიუროკრატიის. კიდევ არის სიტყვა, რომელიც კვლავ შიშის ზარს სცემს და აფითრებს. ამ სიტყვასაც ბევრი ტანჯვა-ვაება გამოუვლია, მაგრამ ჯერაც არ დაუკარგავს თავისი ძალოვნება და გავლენა ალლაჰმა უწყის, როდის გამოჰფიტავენ, სულსა და გულს ამოაცლიან და უხეიროდ გახდიან.

„მშვენიერი უცხობი ასული", ასე იტყოდა ხოლმე საშიშ სიტყვის მაგიერად მწერალი, თუ არა სურდა არა კეთილსაიმედოვნად გამოეცხადებინა თავისი თავი. თურმე ხუ იტყვით, დღესაც ასე ეზოპურად უნდა გამოვხატოთ იგ საგნის სახელი, რომელიც ბიუროკრატიის შეხედულებით მავნებელია საზოგადოებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში... სასჯელი.

მაგრამ მე არ შევუშინდები სასჯელს და ჩავიდენ სერგეი ვიტტეს გმირობას: პირდაპირ ვიტყვი აკრძალულ სიტყვას, როგორც სთქვა აოქიერმა თავის ამფსონებთან: „გაუმარჯოს კონსტიტუციას".

ხომ გესმის, მკითხველო, რომელი სიტყვაა საშიში—კონსტიტუცია.

ამ სიტყვისათვის ვიტტეს ყურები აუწიეს, დატუქსეს და, ამბობენ, უნდა პრემიერობა ჩამოართვანო.

წადით და გაიგეთ ახლა, რა გვარი წესწყობილება არის დღეს რუსეთში?

უნდა „კავკაზის" რედაქციაში შევიდე და იქ ვიკითხო, თორემ ჩემი სუსტის ჭკუით ვერ მივაგენ პასუხს. როცა გავიგებ, მაშინ შენც შეგატყობინებ, მკითხველო დარწმუნებული ვარ, რომ შენც არ იცი, რა გვარი წეს-წყობილება სუფევს დღეს რუსეთში.

* *

ვიტტეს ამხანაგს, შინაგან საქმეთა მინისტრს დურნოვოს ეს კითხვა სრულიად არ აწუხებს. იმისთვის ამისთანა კითხვების წამოყენება წყლის ნაყვაა და უაზრო ფილოსოფოსობა. იმისთვის წეს-წყობილება კარგია მანამდის, სანამ საშუალებას აძლევს სიამოვნებით და მხიარულად გაატაროს დრო.

მინისტრ-დურნოვოს, ალბად, ზეპირად აქვს დასწავლილი უკვდავ პოეტის სიტყვები:

„ისარგებლე ცხოვრებით, ცოცხალო!
მშვიდად გეძინოს კუბოში, მკვდარო!"

მხოლოდ ერთი პატარა განსხვავებაა შილლერისა და დურნოვოს შორის. როცა შილლერი იწვევდა ცოცხალს დატკბარიყო, ესარგებლნა ცხოვრებით, არ ეუბნებოდა ცოცხალს: შენი სიტკბოება, შენი მეჯლისი სხვის საფლავებზედ გამართეო.

დურნოვო-კი სწორედ ამას ურჩევს რუსეთის ყველა კეთილ-საიმედოვნო ქვეშევრდომს და პირველს მაგალითს თვით აძლევს. მაშინ, როდესაც დურნოვოს ბრძანებით საფლავებით გაივსო მთელი რუსეთის მიდამოები, მაშინ, როდესაც მთელი რუსეთი გმინავს და კვნესის დურნოვოს ზომებისაგან, მაშინ, როდესაც ირგვლივ ტირილი ისმის, დურნოვო მართავს ბრწყინვალე ბალს და მღერის:

„სანამ ცოცხალვარ ასე ვიქ, ვახარებ ჩემსა იასა".

„ბიჭო, შამპანური, გაყინული შამპანური!.."

ეჰ, მართალს ამბობს პოეტი:

„ორგიის ყვირილი, მხიარულების ჰიმნები
ბრწყინვალე ცეცხლით მოფენილ დარბაზში,
გვერდით კი გულდამწვავი კვნესა მღელ-

მოგვცემს, ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში შესდგომიან მიტინგების მართვას საქართველოს უკანასკნელ ამბების შესახებ. უკვე გაუმართავთ მიტინგი ჟენევას. ცხარე სიტყვა წარმოუთქვამს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს ბერტონის. ორატორს მრავალი ფაქტი მოუყვანია იმისი, რაც ეხლა ჩვენში ხდება. მრავლად შეკრებილმა ხალხმა მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი. მიტინგმა გულწრფელი თანაგრძნობა გამოუცხადა ქართველ ხალხს. ასეთივე მიტინგები გამართეს როგორც შვეიცარიის სხვა ადგილებში, ისე საფრანგეთსა, ინგლისსა და სხვაგან.

◆ **ბ-ნ სტაროსელსკის გაზეთი.** ქუთაისის გუბერნატორად ნამყოფს ვლ. სტაროსელსკის, როგორც გაზეთი „ნა პოვოროტეს“ გაუგია, განუზრახავს პეტერბურგში დიდ ყოველ დღიურ გაზეთის გამოცემა ამ სათაურით: „ოკრაინა“ (განაპირა ქვეყნები). გაზეთი სამსახურს გაუწევს რუსეთის განაპირა ქვეყნებს, განსაკუთრებით კავკასიას.

◆ **სამხედრო სამართალში.** როგორც გვატყობინებენ, აზრადა აქვთ სამხედრო სამართალში მისცენ ქართველი ლიტერატორი თედო სახოკია. რისთვის აძლევენ სამხედრო სამართალში, არავინ იცის. სახოკია ამ ჟამად სოხუმის საპყრობილეშია.

◆ **პოლიტიკურ პატიმართა გაგზავნა.** 17 მარტს, სახალხო მატარებლით ნავთლუღის სადგურიდან რუსეთისაკენ გაიგზავნა ოცდა-ათი პოლიტიკური პატიმარი. ყველა ესენი სატუსაღო ვაგონში სხედან.

◆ **ციმბირში გასაგზავნნი.** მოსკოვის საპყრობილიდან ამ ჟამად შემდეგ თოთხმეტ კაცს ჰგზავნიან ციმბირში: ა. მ. ივანოვს, ვ. ი. პაპიაშვილს, გ. ს. ლომსაძეს, დ. კ. კაპანაძეს, ა. ლ. სარაკაშვილს, ი. ბ. ნაზარაშვილს, ი. გ. პუპუკაშვილს, ა. ნ. სუხიტაშვილს, ი. დ. არჩვაძეს, დ. ზ. მამეჯიაშვილს, ე. გ. ურაგაშვილს, ს. ი. ციჩაშვილს და გ. ა. გაბარაშვილს. ყველა ესენი გორის მაზრიდან არიან გაგზავნილნი.

◆ **პასუხის გებისაგან განთავისუფლება.** ტფილისის სამოსამართლო პალატას უნდა განეხილა ოზურგეთის მაზრის ხიდისთავის გლეხთა საქმე. ამ გლეხებს ჰბრალდებოდათ მთავრობის მოხელეთათვის იარაღით წინააღმდეგობის გაწევა 1904 წელს 2 მაისს. ხელმწიფის ბრძანებით, იუსტიციის მინისტრმა ეს საქმე მოსპო და ბრალდებულნი პასუხის გებისაგან გაანთავისუფლა.

◆ „გრანდ ოტელში“ ნაპოვნ ყუმბარების შესახებ საქმის გამოძიებამ 18 მარტს გასტანა ნაშუადღევის 5 საათამდე. პირველად სიტყვა წარმოსთქვა ბრალმდებელის ამხანაგმა ბ-ნმა სკაპინსკიმ, ხოლო შემდეგ რიგ-რიგად ვექილებმა. ორივე მხარეთა კამათმა გასტანა ნაშუადღევის $3^1/_2$ საათამდე. გუშინ 18 მარტს პალატის თათბირი დაიწყო დილის $11^1/_2$ საათიდან და გასტანა ნაშუადღევის 3 საათამდე. პალატამ დიდძალ ხალხის თანდასწრებით გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი უკვე აღნიშნული ბრალდებაში კასპარ კაპაროვი, შიო პავლიაშვილი, პეტრე ბასტრიჩევი და დავით კაჩაური დამისჯა ყოველ უფლებათა ჩამორთმევა და რუსეთის შორეულ ადგილებში საუკუნოდ გადასახლება, ხოლო პალატამ ალექსანდრე წკიპურიშვილი და ვლადიმერ ხუდადოვი უდანაშაულოდ სცნოდა გაამართლა ორივენი.

◆ **არჩევნების დაწყება.** დღეს, 19 მარტს, ტფ. მაზრის სოფლებში დაიწყება არჩევნები სახელმწიფო სათათბიროსათვის. არჩევნები დაიწყება სოფ. დილმიდან. არჩევნები დასრულდება ერთის კვირის განმავლობაში. მთელ მაზრაში 1500 ამომრჩეველია სულ დანიშნული; ამათ უნდა აირჩიონ 20 რწმუნებული სამაზრო კრებისთვის, ხოლო ამ ოცმა რწმუნებულმა თავის მხრივ 2 რწმუნებული საგუბერნიო კრებაში.

◆ **განთავისუფლება.** 16 მარტს ტფ. საგუბერნიო საპყრობილიდან გაანთავისუფლეს: მემანქანე ესტატე რატიანი, ობერ-კონდუქტორი ს. ზაიცევი, დ. ლომიძე, მ. გელაშვილ, ვ. კეველიშვილი, ს. ახათიანი, ვ. ხაჩიძე, ვ. ცაგურაშვილი, მ. გელაშვილი და ს. შუბაშვილი. ყველა ესენი პირველ იანვარს დააპატიმრეს ხაშურის სადგურზე. ყარსის ციხიდან გაანთავისუფლეს რკინის გზის მოსამსახურენი ივანე ზამბახიძე და ივანე იშხნელი.

◆ **თავდასხმა და მკვლელობა.** როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, 16 მარტს 9 შეიარაღებული კაცი თავს დასხმია სოფ. ბულაჩაურელ მემამულეს თავ. ნიკოლოზ ხიმშიაშვილს, რომელიც მძიმედ დაუჭრიათ, ხოლო მისი სიძე აზნაური კოწია ღლონტი მოუკლავთ. უცნობნი ვერ შეუპყრიათ.

◆ **ყუმბარების აღმოჩენა** როგორც განჯიდან გვატყობინებენ, 14 მარტს სადგურის მახლობლად თუმანიანცის სახლში, აგურებში აღმოუჩენიათ 4 ყუმბარა. იქვე უნახავთ 7 ბერდანის თოფი და 2 რევოლვერი.

◆ **თავდასხმა.** 17 მარტს, ღამის $11^1/_2$ საათზე, 9 შეიარაღებული და ყაზახების ტანისამოსში გამოწყობილი კაცი შეუვარდნენ ბებუთოვის ქუჩაზე საკუთარ სახლში მცხოვრებელს ე. ბ. ქალანთაროვს და ვითომც პატრულის სახით დაიწყეს სახლის ჩხრეკა, იარაღი ხომ არა გაქვთო. ჩხრეკის შემდეგ წაიღეს ფულად 800 მ. და ფასიანი ბილეთები. უცნობნი მიიმალნენ.

◆ **გაფრთხილება.** ჩვენ გადმოგვცეს, რომ გაზეთ „კავკაზმა“ გაფრთხილება მიიღო შმიდტის შესახებ ზოგიერთ ცნობის დაბეჭდვის გამო.

◆ **„კავკაზის“ რედაქტორი.** პირველ მაისიდან, როგორც გადმოგვცეს, ამ გაზეთის რედაქტორად ისევ ძველი რედაქტორი ბ-ნი ბელინსკი იქნება.

◆ **ყელგამოჭრილი კაცი.** 18 მარტს დილის 3 საათზედ. ტფ. სადგურთან ლიანდაგზედ ნახეს ყელგამოჭრილი სლესარი ეფრემ გლუშკინი.

◆ **საგლეხო ბანკის წევრი.** ქუთაისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულომ კავკასიის საგლეხო ბანკის განყოფილების მუდმივ წევრად ერთხმად აირჩია თ-დი ვლ. სვ. მიქელაძე.

◆ **მაზრის უფროსების გადაყვანა.** თიანეთის მაზრის უფროსი გოგოხია ახალციხის მაზრაში გადაჰყავთ. ბორჩალოს მაზრის უფროსის თანაშემწეს ვიზნესენსკის უარი განუცხადებია თელავის მაზრის უფროსობაზე.

◆ **ახალი გაზეთები.** სამშაბათს, 21 მარტს, გამოვა შემდეგი რუსული გაზეთები: პ. გოთუას რედაქტორობით „ვესტნიკ ვოზროჟდენია“, ნაფიც ვექილის ი. მ. დოლუხანოვის რედაქტორობით „კავკასკაია მისლ“. ნაფიცმა ვექილმა პ. მ. დოლუხანოვმა შუამდგომლობა აღძრა ნება მიეცეს, გამოსცეს ტფილისში რუსული ყოველ-დღიური გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“.

◆ **პოლიციელთა გადაყენება.** როგორც ნამდვილად გავიგეთ, განზრახვაა ტფ. გუბერნიის პოლიციელთა ბევრი მოხელე გამოსცვალონ, როგორც შეუფერებელნი თავიანთის თანამდებობისა.

◆ **გაფიცვა.** 17 მარტს გაფიცულან ტფ. სომეხთა სასულიერო სემინარიაში მე-4, 5, და 6 კლასის მოსწავლენი.

◆ **კავ. საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე.** ამ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის ასრულება, ბ-ნ ჰაკელის ნაცვლად, რომელიც ნამესტნიკის საბჭოს წევრად დაინიშნა, დაევალა უფროსს ცენზორს ა. ი. ქიშმიშევს.

◆ **უარი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის აუარებელი თხოვნა მოსდის ციმბირის გზის მოხელეებისაგან, თქვენს გზაზედ მოგვეცით ადგილებიო. რკინის გზის გამგეობამ შეუთვალა, სანამ ამიერ-კავკასიის გზაზედ სამხედრო წესებია, მაგ თხოვნას ვერ ავასრულებთო.

◆ **ფუნიკულერი.** ფუნიკულერის მოძრაობა განახლდება მარტის ბოლო რიცხვებში.

◆ რამდენსამე ქართველ მუშას შეუდგენია არტელი და მექისეებად შესულა ირაკლის აბანოში. რადგან ეს ამბავი ზოგს საწყენად დარჩენია, ამიტომ საქმე ასე მოუწყვიათ. ნება მიეცა მექისეებად იყვნენ ყველა ეროვნების მუშები: 10 თათარი, 10 სომეხი და 10 ქართველი.

◆ 17 მარტს, 12 საათზე, სასახლის ქუჩაზე, სამხედრო შტაბის სადგომის წინ ერთ სალდათს უცბად თოფი გაუვარდა. თოფის ხმამ თავზარი დასცა ხალხს.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა შეადგინოს სია ქალაქის ყველა იმ მცხოვრებ მრეწველებისა, რომლებზედაც 100 მანეთზე მეტია დარჩენილი გადასახადების ფული. ისეთებიც არიან, რომლებზედაც 5000 მანეთამდეა დარჩენილი.

პრესსა

ოცი თებერვლის საკანონმდებლო აქტებით უკიდურეს რეაქციონერების მეტი თითქმის ყველა უკმაყოფილოა. უკმაყოფილოა, რა თქმა უნდა, კონსტიტუციონალ-დემოკრატთა პარტიის ერთ-ერთი მესვეური, ცნობილი პუბლიცისტი და ყოფილი მარქსისტი პ. სტრუვე, რომელიც „პოლიარნაია ზვეზდაში“ სწერს:

> საოცარია, რომ აქამომდე არ დაიშრიტა რუსეთის საზოგადოების ნდობა მთავრობისადმი. მხოლოდ ამ ყოვლად უსაფუძვლო ნდობის დაუშრეტელობაა იმისი მიზეზი, რომ ასეთი არა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა 20 თებერვლის კონსტიტუციამ. ეს შთაბეჭდილება ზოგისთვის სრულს იმედმიხდილებას აღნიშნავს, ზოგისთვის აღშფოთებას. მაგრამ განა შესაძლო იყო რამე სიკეთის მოლოდინი გვქონოდა ამ მთავრობისაგან...

ასე მაგრად, ასე ძლიერად ჰგმობს რუსის პუბლიცისტი ეხლანდელ მმართველობას, ასე უცნაურად სთვლის, იგი რომ რუსეთის საზოგადოებას კიდევ ცოტა რამ ნდობა მაინცა აქვს გულში და რიტორიულად კითხულობს, საიდამ წარმოსდგება ეს დაუშრეტელი ნდობაო. მაგრამ მალე ავიწყდება ბ-ნს სტრუვეს თავისი კონსტიტუციონალური გოდება და რამდენისამე სტრიქონის შემდეგ განაგრძობს:

> რუსეთში ჩვენ გუშინდლიდან არა ვცხოვრობთ და კარგად ვიცით, რომ თანამედროვე პოლიტიკური პირობები, თუმცა ეს პირობები მეტად ბარბაროსული და ძნელი ასატანია, მაინც კი პოლიტიკურ მოქმედებისათვის იმოდენა სახსარს გვაძლევენ, რომ იმათი შედარებაც კი არ შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე და მეოთხმოცდა-ათე წლების ქახრაკებთან.

განა ამ სიტყვებით ბ-ნი სტრუვე იმედიანობას არ უკარნახებს რუსეთის მოქალაქეს, განა თითონვე არა ჰქონის ნდობის იმ დაუშრეტობას, რომელსაც იგი უცნაურს და საოცარს უწოდებს? დიახ, ეს მართლა ასეა, მაგრამ პრინციპიალური ოპორტუნიზმიც სწორედ იმას მოითხოვს, რომ რასაც ერთის ხელით აშენებს, ის მეორე ხელით დაანგრიოს ადამიანმა. ბ-ნმა სტრუვემ და იმასთან ერთად ყველა კონ.-დემოკრატებმა სწორედ ეს ოპორტუნისმი გაიხადეს კერპად და ამიტომაც ვერ მოუხერხებიათ წინააღმდეგობას დახწიონ თავი. ეს წინააღმდეგობა ულოღიკობის ბრალი არ არის, იგი კონ.-დემოკრატთა პარტიის ტაქტიკის პირმშო და აუცილებელი შვილია. რაც უფრო ნათლად გამოჩნდება ეს წინააღმდეგობა, მით უკეთესი, მით უფრო გამოირკვევა რუსეთის საზოგადოების პოლიტიკური თვითმეცნება, მით უფრო დამტკიცდება, რა ფასი აქვს იმ ტაქტიკას, რომელიც ხალხს სახელმწიფო სათათბიროსაკენ ერეკება ბედნიერების შესაქმნელად.

აი პედაგოგები!!

ამ ერთის თვის წინად „ცნობის ფურცელში“ შემთხვევით წავიკითხე „ტფილისის სამღვდელოების დამოუკიდებელ ჯგუფის“ მოკლე შენიშვნა საეპარქიო სასწავლებლის შესახებ. „ჯგუფი“ ურჩევდა ამ „სნეულ“ სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს, საორგანიზაციო პროექტი ისე არ შეემუშავებინა, უკეთუ ამ ფრიად სერიოზულ საგნის შესახებ წინდაწინვე არ ექნებოდა შეტყობილი თვით სამღვდელოებისა და სხვა ქართველ პედაგოგთა აზრი.

ახლა, როგორც „საქ. საეკ. სასულიერო მოამბე“ გვაუწყებს (№ 5, გვ. 18—19), პედაგოგიურ საბჭოს უკვე შეუმუშავებია აღნიშნულ სასწავლებლის რეორგანიზაციის პროექტი

მთელი პროექტი ორ სიტყვაში გამოიხატება: საეპარქიო სასწავლებელი ქალების გიმნაზიას დაემსგავსოს; ყველა საგნები რუსულად ისწავლებოდეს (გარდა სამ მოსამზადებელ კლასისა და ზედა კლასებში საღვთო სჯულისა); ხოლო ქართულს ენასა და სიტყვიერებას დაეთმოს საპატიო ადგილი, როგორც კერძო საგნებს!

ერთის სიტყვით, გაუმარჯოს იმას, რაც საერთო უწყებაში უკვე კაი ხანია დაგმობილია და უარყოფილი ჩვენის მოწინავე საზოგადოების მიერ!.. პედაგოგიის საქმეში ორ სკამს შუა ჯდომაც? ეს არის!

მაგრამ ყველაზე უფრო საუცხოვოა „ბოლო სიტყვაობა“, რომელიც, იმავე ჟურნალის სიტყვით, პროექტს ჰქონია დართული. მოგვყავს ეს ბოლო სიტყვაობა, როგორც მას „სასულიერო მოამბე“ გადმოგვცემს:

„ამ პროექტს უძღვის საბჭო, როგორც თავის საკუთარ შრომას და არ შეუძლიან დამტკიცებით სთქვას, რომ იგი დააკმაყოფილებს ქართველ სამღვდელოებას, რომელსაც, როგორც სხვა და სხვა დროს ბეჭდვითის სიტყვის საშუალებით მის მიერ გამოთქმულ შეხედულებათაგან სჩანს, სურს იქონიოს ეროვნული სასწავლებელი მშობლიურს ენაზე საგნების სწავლებით,—ისე კი, რომ რუსული ენაც საფუძვლიანად იყვეს დაყენებული. საპედაგოგიო საბჭოს პედაგოგიურ მოსაზრებათა გამო არ შეუძლიან თანაგრძნობით არ მოეკიდოს ქართველ სამღვდელოების აღნიშნულს სურვილს“.

ხედავთ, მკითხველო? საეპარქიო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს: ა) კარგად სცოდნია სამღვდელოების სურვილი ეროვნულ სასწავლებლის შესახებ, ბ) ჰქონია „პედაგოგიური მოსაზრებანიც“, რომელნიც ამავე სურვილს ეთანხმებიან; გ) უეჭველია, დავსძენთ ჩვენის მხრით, ისიც კარგად ეცოდინებოდა, რომ აღნიშნულ სასწავლებელში მოწაფეთა 90 პროცენტს ქართველი სამღვდელოების შვილები შეადგენენ; მაგრამ, მიუხედავად ყოვლისავე ამისა, რადაც სხვა არა „პედაგოგიურ მოსაზრების“ ძალით, საბჭოს შეუდგენია ისეთი პროექტი, რომელსაც იგი უყურებს „როგორც თავის საკუთარ შრომას“ და რომელიც, იმავე დროს, არც პედაგოგიურ მოსაზრებებს ეთანხმება და არც იმ სამღვდელოების აშკარა სურვილებს, რომლის ასულნიც უმთავრესად ამ სასწავლებელში იზრდებიან ან მომავალში აღიზრდებიან?!?

რას ნიშნავს, მკითხველო, ეს ამბავი?

ბევრს არაფერს: მხოლოდ იმას, რომ პროექტის შემდგენელ საბჭოს კარგა მაგრა ჰქონია შესწავლილი ორ სკამს შუა ჯდომა, და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ ყველანი ეგრედ წოდებულ „გარდამავალ ხანაში“ ვიმყოფებით, როდესაც არა თუ ჭაობში ამოსული მცენარეები, მთის უზარმაზარი მუხებიც კი ირყევიან.

ამიტომ მივუტევოთ საეპარქიო სასწავლებლის საბჭოს შედგენა ისეთის პროექტისა, რომელიც ჩვენს საპედაგოგიო ისტორიაში, უეჭველია, სამუდამო სახელს დასტოვებს...

არა პედაგოგი.

საზღვარ-გარედ

გერმანია და რუსეთი.

რუსის მთავრობის წარმომადგენელი კოკოვცევი რომ პარიზში იყო სესხის საშოვნელად, სხვათა შორის რესპუბლიკის მთავრობამ ის უთხრა მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომ საფრანგეთი სესხს ვერ გასცემს, სანამ მაროკოს საქმე არ გათავდებაო. ამიტომაც არის, რომ რუსეთის მთავრობა დიდ დახმარებას უწევს საფრანგეთის დიპლომატის მაროკოს საქმის გამო გამართულ კონფერენციაზე ალჟირისაში. მაგრამ ერთი ვერ მოუსაზრებია რუსის მთავრობამ, სახელდობრ ის, რომ გადიკიდებდა გერმანიის მთავრობას, იმ მთავრობას, რომელიც ერთად-ერთია მთელ ევროპასა და ამერიკაში, რომ რუსის ეხლანდელ მთავრობას თანაუგრძნობს და მონატრულია მას გამარჯვებას რევოლიუციაზე. ეხლა ეს ერთად-ერთი თანამგრძნობელი გაპრაზებულია რუსეთზე და მზად არის ყოველ-გვარი უსიამოვნობა მიაყენოს მას. დასამტკიცებლად მოგვყავს გავლენიან გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ წერილი. ამ წერილში გაკიცხულია გერმანიის მთავრობაც, რად უწევდი სამსახურს ასეთ უმადურებსო. „აი მადლობაც ასეთი უნდა იმ არა საკადრის სამსახურისათვის, რომელიც გაუწიეს რუსეთს ჩვენმა მესვეურებმა. აი როგორი მადლობა გვითხრეს იმისათვის, რომ ჩვენი სასამართლო და მოხელენი ესეთის მოწიწებით ემსახურებოდნენ დიდ რუს მოხელეებს და ამით სახელს იტეხდნენ მთელ ქვეყნის თვალში. აი ნამდვილი ჯილდო ჩვენის ხელმძღვანელების ცდისათვის, რომ რუსეთის კრედიტი არ დაცემულიყო, რისთვისაც ამოდენა გერმანული ოქრო ჩაჰყარეს რუსეთის საფინანსო პოლიტიკის უძირო ბოჩკაში! რუსეთი საჯაროდ და აშკარად დგება საფრანგეთის მხარეზე. იმის მაგიერ, რომ შუამავლობა გაეწია და შეთანხმება ჩამოეგდო, რუსეთმა სარმა გამოკრა და საფრანგეთის წინააღმდეგობა განამტკიცა. ჩვენ მაინც არ გვგონია, რომ რუსეთის ასეთი უზრდელი ქცევა გერმანიისადმი მოლაპარაკებას შეაწყვეტინებს საფრანგეთს.

მაგრამ თუ ჩვენმა პოლიტიკოსებმა მორჩილებით ჩაყლაპეს ეს შეურაცხყოფა, დარწმუნებული ვართ, მეტად ცუდი გავლენა ექნება ჩვენზე; ამიტომ ჩვენთვის ერთი ორად აუცილებელია, რომ, თუ ეხლავე არ ვუჩვენეთ კბილებს აღმოსავლეთელ მეზობელს, ის მაინც ვაგრძნობინოთ, რომ კბილები გვაქვს.

მაროკოს საქმეში ჩვენ განმარტოებული დავრჩით და ეს განმარტოვება სრულიად არ არის ბრწყინვალე... უნდა ვუჩვენოთ რუსეთს, რომ ჩვენ სრულიად არ გვეშინია მის წარბების შეჭმუხვნისა. ბერლინისა და პარიზის ოფიციოზურ გაზეთების უნაყოფო და უსარგებლო კამათის მაგიერ, ცივი წყალი უნდა გადავასხათ გრაფ ლამზდორფს (რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრია). ჩვენის დიპლომატიის უნიჭობა გადააჭარბებს რუსეთის დიპლომატიის უდიერობას, თუ უპასუხოდ დასტოვებს რუსეთის ამ ფლიდობას“.

გერმანია ძალიან გაიჯავრა რუსის მთავრობამ, მაგრამ საფრანგეთის გული კი მოიგო? საქმე ის არის, რომ კოკოვცევის პარიზში ყოფნის დროს რუვიე იყო რესპუბლიკის პირველი მინისტრი და თუ ის დაჰპირდა რასმე რუსეთის წარმომადგენელს, ძალიან საეჭვოა, რომ ეხლანდელმა სამინისტრომ აასრულოს. ამისი თავდები სამინისტროს გარკვეული რადიკალური ხასიათია.

რუსეთი

სიკვდილით დასჯა. ტომსკიდან ატყობინებენ გაზ. „ვეჩ. გოლ.“-ს, რომ ბერძენ-

---

ვარე მწუხარებისა...

„თავაშვებული გარყვნილება, ყვავილებით შემკული და შრომა ტალახში ამოსვრილი... მომცინარე სულელი და ჩუმად მტირალი, უჩინარის ცრემლებით, ხალხში დაკარგული, არავისგან მიჩნეული ბრძენი“..

დიახ, ცხოვრება კონტრასტებისგან შესდგება.

დურნოვოსთვის ხელსაყრელია, რომ ცხოვრება კვლავაც ასეთი დარჩეს, მაგრამ „მღელვარე მწუხარება“ ფრთას ისხამს, აღარა სურს, რომ ცხოვრება ერთისათვის მეჯლისი იყოს, მეოროესთვის-კი სატანჯველი!..

ამბობენ, დურნოვოს ბალი უბრალო ბალი-კი არ იყოო. ბალს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდაო.

დურნოვოს სურდა გაეგოო, რა შეხედულებისაა „პეტერბურგის ყვავილი“, უმაღლესი საზოგადოება: ადასტურებს იმის შინაურ პოლიტიკას, თუ ჰგმობს.

როგორცა სჩანს გაზეთებიდან, დურნოვოს არა სასურველი დასკვნა უნდა გამოეყვანა: მისი ამხანაგები მინისტრები არ მიბძანებულან ბალზე და ამით, ალბად, უნდოდათ ეთქვათ: ყაჟვილო, გადააჭარბეო.

რუსეთის ქვეშევრდომისათვის ესეც ნუგეშია, მაგრამ დურნოვო რომ ისევე მეფობს ბალის შემდეგაც?

ალბად რუსეთის მინისტრების აზრს აგრე რიგად არ უგდებენ ყურს იქ, ზევით.

* *

მე დარწმუნებული ვარ, რომ დურნოვოს ბალზე მიწვეულები, თუმცა „ამხანაგები“ არ არიან, მაგრამ ერთი ერთმანეთს ზრდილობიანად ეპყრობოდნენ. ამიტომ ძალიან ვწუხვარ, რომ „პატარა გაზეთის“, „ახალი დროების“, „ელვის“, „ივერიის“ თანამშრომლებიც არ იყვნენ მიწვეულნი. იქნება ცოტაოდენი ზრდილობა ესწავლათ, თორემ ისეთი ლანძღვა-გინება, რომელიც გამოფინეს თავიანთ გაზეთების ფურცლებზედ, ეკადრება... არა, არ დავამთავრებ, იმათ მაგივრად მე მრცხვენიან.

გვიხაროდა, რომ ქართველმა საზოგადოებამ გამოიღვიძა, სულიერი საზდო მოითხოვა. გვეგონა, რომ ახლად შობილი გაზეთები მიაწოდებენ ამ საზდოს. მაგივრად რას ვხედავთ! ერთი მეორეს ათრევს, ტალახში სვრის, უშვერის სიტყვებით ლანძღავს.

დავიწყებულია ბეჭდვითი სიტყვის წმიდა მოვალეობა — გამეფდა პირადი ანგარიშების გასწორება. „შენ ასეთი ხარ, შენ ისეთი ხარ, შენა სტყუი, მე მართალს ვამბობ, შენ პროვოკატორი ხართ, მე ხალხის მეგობარი“.

აი შინაარსი ოთხის გაზეთისა, რომელნიც ოთხი დღეა, რაც დაიბადნენ და უკვე მოასწრეს ხალხის გონების მოწამვლა შხამიანის საზრდოთი. გაზეთებს-კი ჰგონიათ, რომ იდეიურ ბრძოლას სწევენ, საჭირბოროტო საკითხებს პრინციპიალურად არჩევენ.

„პატარა გაზეთის“ და აწ უკვე განსვენებულის „ახალი დროების“ (შენიშვნა: სასურველია, ბატონმა რედაქტორმა შეგვატყობინოს, რით განისვენა აგრე მალე „ახალმა დროებამ“, იმიტომ, რომ ლანძღვის სიტყვების ლექსიკონი შემოელია და ავლაბარში წავიდა ახალი სიტყვების მოსაკრებად, თუ განისვენა ბრძანებითა ძალთა მქონისა, რომელსაც „მავნე მიმართულება“ არ მოეწონა. ვამბობ, სასურველია ვიცოდეთ, თორემ ექვი იბადება, რაში მივეცით ზოგიერთმა მთელი წლის ფული?) კამათზედ არაფერს ვიტყვით. მკითხველი თვით დააფასებდა იმის ღირსებას და დღევანდელი დღისთვის მნიშვნელობას. მე მინდა „ივერია“-სა და „ელვა“-ზედ ვილაპარაკო.

რაზედ კამათობენ? „ივერია“ უკიჟინებს სოციალ-დემოკრატებს, რომ იმათ ხალხი მოატყუესო. „ელვა“ ამტკიცებს „ამხანაგების“ სიმართლეს და გზა-და-გზა ფედერალისტებს უკურთხებს.

ორივე გაზეთი ერთსა და იმავე ცოდვას სჩადიან. ისინი თითქოს არა ხედავენ, არა გრძნობენ, რომ თავიანთ კამათით ახარებენ შავ-ბნელ ძალებს, უმაგრებენ პოზიციებს, ხელში აჩრიან მითომ უტყუარ საბუთებს, რომ დღევანდელი მოძრაობა წარმოადგენს უბრალო ჩოჩქოლს, ქარიშხალს ჭიქა წყალში. იმათთვის თითქო მოძრაობა ისტორიულ ფაქტად გახდა და უკვე შეიძლება მართალის და მტყუანის აღმოჩენა...

გამართლდა რომაელების ანდაზა: „duobus litigantibus tertius gaudet“.—როცა ორნი კამათობენ, მესამეს უხარიან. მესამემ უკვე გაიხარა. აიღეთ 17 მარტის ნომერი „კავკაზისა“ და გულდასმით წაიკითხეთ „ივერიიდან“ და „ელვიდან“ ამოწერილი სიტყვები.

„კავკაზს“ უხარიან, რომ ქართველები დაჰკვიანდნენ, თვითონვე ლანძღავენ თავიანთ უკიდურეს პარტიებს, თითონვე აღნიშნავენ თავიანთ მიუტევებელ ცოდვებს.

„კავკაზი“ იმას კი არ დაგიდევს, რამდენად მართალია „ივერია“ და „ელვა“, იმისთვის სასიამოვნოა, რომ ისინი, ვინც სთვლიდა თავიანთ თავს მოძრაობის მეთაურებად გამოდგნენ უბრალო ტრაბახებად, მატყუარებად. მაშ კვლავ იკამათეთ, გაზეთებო, მესამის გასახარებლად!

* *

მტრის გულის გასახარებლად ვზრუნავთ! „გურიის ყველა ოცდა ხუთ საზოგადოების მცხოვრებნი არჩეულთა ხელმოწერით იმუდარებიან მიეტევოთ შეცდომანი, რომელნიც ჩაიდინეს უგუნურებით და ბიწიან ბოროტ-გამზრახველთა შთაგონებით, იმუდარებიან მოწყალება მოილონ, რადგან უკვე სინანულში არიან და შეიგნეს თავიანთი შეცდომა“ და სხვა ამგვარი.

იქნება მართალია! არა, ნუ იქნება მართალი! თორემ მაშინ ხომ ჯვარი უნდა დავუსვათ ჩვენ მომავალს! მაშინ ხომ უნდა დავანებოთ თავი ტკბილ ოცნებას, რომელიც სულს უდგამდა დღევანდელ მოძრაობას!

არა, ნუ იქნება მართალი!

ამისთანა მართალი საშინელებაა.

მჯერა, რომ ხალხის გული შედრკა, მაგრამ არა მჯერა, რომ იმ გულმა, რომელმაც ერთხელ იგემა თავისუფლად ამოსუნთქვის სიტკბოება, უარი სთქვას სიტკბოებაზედ.

ყვავი.

ნიკოვი, რომელსაც ციხის ზედამხედველის გრიშინის მოკვლა ჰბრალდებოდა, სასამართლოს გადაწყვეტილებისამებრ, სიკვდილით დასაჯეს.

ქ. რეველში ამ ბოლო დროს სამხედრო სასამართლოს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია 15 გლეხისათვის. 9 კაცს ჰბრალდებოდა ძარცვა და მამულების გადაწვა; ექვსს მემამულის ბარანოვის მოკვლა. რუნდალენში დახვრიტეს თავის ნებით ჯართან მისული აგიტატორი სკუენეკი. დახვრეტამდე ეს აგიტატორი ვერ იპოვნეს და მამის სახლი გადასწვეს. როტმისტრ ფონ-შპორის რაზმმა როზგებით სცემა 6 კაცს. იაკობშტადტის საპყრობილეში 250 პატიმარია.

პროტესტი. შმიდტის და სამი მატროსის დახვრეტა რუსეთის ყოველ კუთხეში ძლიერ პროტესტს იწვევს: მრავალ საშუალო სასწავლებელში მოსწავლენი პროტესტის ნიშნად რამდენისამე ხნით სწყვეტენ სწავლას. მოსკოვში 7 მარტს, საღამოს 9 საათზე, როდესაც მაღაზიები დაიკეტა, ქალაქის გამგეობის მახლობლად, სადაც მაცხოვრის ეკკლესიაა, შეიკრიბნენ მაღაზიის ნოქრები. ამათ აზრად ჰქონდათ შმიდტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაეხადათ. მოულოდნელად მოვიდა პოლიციელთა რაზმი ბოქაულის წინამძღოლობით და დაშალა შეკრებილნი, თანაც გამოუცხადა, რომ ეკკლესია დაკეტილიაო.

მიუსსკის პარკის ხელოსნებმა ერთის დღით მუშაობა შესწყვიტეს და ამით პროტესტი გამოაცხადეს შმიდტისა და სამის მატროსის დახვრეტის გამო.

ყრუ-მუნჯი წარმომადგენლად. ქ. მოსკოვში ერთ ქარხნის მუშებისათვის, რომელთაც სათათბიროს ბოიკოტი გამოუცხადეს, ადმინისტრაციას ძალა დაუტანებია, უეჭველად აირჩიეთ რწმუნებულიო. მუშებმა აიღეს და რწმუნებულად ერთი ყრუ-მუნჯი ამხანაგი აირჩიეს და ამ გვარად ადმინისტრაციის მუქარასაც დააღწიეს თავი და არც თავის რწმენას უღალატეს.

სამსახურიდან გადადგომა. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს გერარდს თავი დაუნებებია სამსახურისათვის. ამბობენ, გერარდი გრ. ვიტტეს ადგილს დაიჭერსო.

სპირიდონოვის ქალის საქმე. ტამბოვის სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე სპირიდონოვის ქალისა, რომელსაც ლუჟენოვსკის მოკვლა ჰბრალდებოდა და რომელიც ამას წინად ისე ულმერთოდ აწამეს. განაჩენი საჯაროდ გამოაცხადეს. სასამართლომ სპირიდონოვის ქალს გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა და დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა, რომ სიკვდილით დასჯის ნაცვლად იგი კატორგაში გაგზავნონ.

მღვდლის გადაყენება. მღვდელი კრემლევსკი, რომელიც იაროსლავში ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით შავ-რაზმელთა აგიტაციას ებრძოდა, გუბერნატორს ადგილიდან გადაუყენებია.

კომიტეტის ჩივილი. ქ. პოლტავის „უფლებრივ წესიერების კავშირს“ შემდეგი მოწოდება დაურიგებია: „დგება დრო პირისპირ ბრძოლისა უკიდურესს პარტიებთან, რომელნიც ურიებს უკავშირდებიან და დამარცხებას გვიქადიან; იმათი კანდიდატები, კოროლენკო და ტუგან ბარანოვსკი, ყველაზე უფრო საშიშნი არიან. კომიტეტმა ბევრი იბრძოლა, მაგრამ ძალა გამოელია; არაქათი აღარა აქვს; გვიშველეთ“? ნეტა რაგვარ შველას თხოულობს კომიტეტი? ფულს თუ ებრაელთა და ინტელიგენციის აკლებას.

წერილები

ქიზიყი. ქვემო-მაჩხაანის სამკურნალო—ქსენონის შესახებ მრავალჯერა მქონია ბაასი მკითხველთან, მაგრამ ორიოდე წვლილი კიდევ მინდა მივუმატო ჩემს ნათქვამს. მოგეხსენებათ, ქსენონის ქონებრივ მხარეს განაგებს ხალხის მიერ არჩეული კომიტეტი, რომლის თავს მჯდომარის მოვალეობას აქამდის წესდებით მაჩხაანის ბოქაული ასრულებდა. მართალია, კომიტეტის წევრნი იყვნენ, მაგრამ ქსენონის საქმის გარემოებას მათ არავინ ჰკითხავდა წინანდელ ბიუროკრატიულად საქმის წარმოების დროს. ამ ანორმალურ მდგომარეობას ხალხმა ყურადღება მიაქცია განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს და ეხლა თავმჯდომარედ კომიტეტის წევრთა თავიანთ შორის ამორჩეული პირი ჰყავთ.

გარდა ამისა აღსანიშნავია შემდეგი გარემოება. ამ ხნობამდის ქსენონს თითქმის მთელი ქვემო-მაჩხაანის საბოქაულოს მცხოვრებნი ინახავდნენ, მაგრამ ზოგიერთი სოფლის საზოგადოება სიშორის გამო ქსენონით ვერ სარგებლობდა. ეხლა შორს მდებარე საზოგადოებათ შუამდგომლობა აქვთ აღძრული, რათა ისინი ქვემო-მაჩხაანის სამკურნალოს გამოჰყონ, გამოაცალკევონ და ცალკე საკუთარი საფერშლო ნაწილები დააარსონ. ამ რიგად ქ.-მაჩხაანის ქსენონის ხარჯი უნდა იკისრონ შემდეგმა სოფლის საზოგადოებათა მცხოვრებლებმა: ქ.მაჩხაანისა, ზემო-მაჩხაანისა, მირზაანისა, ჯუგაანისა და ბოდბის-ხევისა—ამ სოფლის საზოგადოებათაგან კომლეური ათ-ათი შაური შეადგენს ორი ათას ას მანეთს, რაიცა მხოლოდ ექიმს, ფერშალს, ბებია—ქალის ჯამაგირს და, რის წვალებით განათება-გათბობას გასწვდება. წამლების შესაძენად-კი ფული არ ექნებათ.

ამ არსებით დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად მომრიგებელ-შუამავალ ა. ჯორჯაძეს სურს მოახერხოს, რომ თვითეულმა კომლმა წამლის შესაძენად ორ-ორი შაური, ან თითო აბაზი შეიწიროს. ხალხი არ იქმნება წინააღმდეგი ამ კომბინაციისა, რადგან ამ რიგად შეგროვილი ფულით ქსენონი საკმაოდ წამლებს გამოიწერს და მცხოვრებთაც ჯეროვნად დააკმაყოფილებს. მომრიგებელ-შუამავლის შუამდგომლობითვე საექიმო განყოფილებამ საწლიეროდ ქ.-მაჩხაანის ქსენონს ოცი თუმანზე მეტის წამლები გამოუგზავნა უსასყიდლოდ.

ამ ჟამად მეორე საყურადღებო საკითხი ქიზიყელთათვის, როგორც ჩვენს გაზეთში იყო უკვე მოხსენებული, ტფილისის გუბერნიაში ახალის მაზრის დაარსებაა. ამ მაზრაში, სხვათა შორის, სიღნაღის მაზრის ყოფილი შირაქის საბოქაულო იქმნა მოქცეულ-მიტმასნებული, ამას-კი, ბატონებო, იცით რა მწვავე, მრავალ ხიფათიანი, სერიოზული შედეგი ექმნება ქიზიყელთათვის?!... აქამდის თუ საქურდლად ისე თამამად და გაბედულად ვერა თარეშობდნენ ელდრელი და სხვა მოსაზღვრე თათართა ყაჩაღთა ბროები, მხოლოდ იმის შიშით, რომ ყოველს შემთხვევაში პასუხის გება ქ. სიღნაღში უხდებოდათ. ეხლა-კი დანაკარგის საჩივლელად ქიზიყელთ სამუხში უნდა იარონ ორმოცდა ათის-სამოცის ვერსის სიშორეზე. ამას-კი თავზე ხელ აღებულ ელდრელთა შიშით ვერც ერთი ქიზიყელი ვერ გაბედავს. საჭიროა ქიზიყის მცხოვრთაგან დაუყოვნებლივ შუამდგომლობა იქმნას აღძრული, სადაც ჯერ არს, ამ გულზე მოსახვიდ საკითხის ჯეროვნადა და სასურველად დასაგვირგვინებლად.

ჩვენშიაც სახელმწიფო სათათბიროში წევრთა ასარჩევ რწმუნებულთა სიების შედგენასა და არჩევის თადარიგს შეუდგნენ. რვა მარტისათვის ქ.-მაჩხაანის ბოქაულთან დაბარებულნი იყვნენ ამ საბოქაულოს მამასახლის-მწერალნი ამ საკითხის განსამარტებლად. სიღნაღის მაზრა უკვე დაყოფილია საარჩევნო ნაწილებად. ეს თვითეული ნაწილი სოფლის ყრილობისა ათ კომლზე ერთს ამომრჩეველს დაასახელებს სამაზრო ყრილობაზე რწმუნებულთა ასარჩევად.

5-ს მარტს ქვემო-მაჩხანელთ დაადგინეს განაჩენი, რომლითაც მათ მოსპეს წვეულება-მასპინძლობა 9 მარტს, როდესაც ამ სოფლის დღესასწაული—ორმოცობაა.

5 მარტსვე შუაღამისას თავი ჩამოიღრჩო ხეზე თავისავე ქამრით ხირსის მონასტერში მსახურმა 17 წლის ახალგაზრდა ნიკოლოზ სერდუმელიშვილმა საბრალო სოფელ გრემის მცხოვრები ყოფილა. მამა მისი ალავერდის მონასტერში მსახურებს თურმე მწირ ბერად. მიზეზი თავის ჩამოღრჩობისა ჯერ არ არის გამორკვეული.

X.

თელავი. თუმცა თელავში სამხედრო წესები არ არის გამოცხადებული, მაგრამ ახალ წლის აქეთ ადგილობრივ მთავრობის გამოცემულ განცხადებებს ხშირადა ვხედავთ ქუჩებში. მართალია განცხადებები ლმობიერის კილოთია დაწერილი და რჩევა-დარიგება უფრო გამოიხატება, ვიდრე ბრძანება და სავალდებულო დადგენილება, მაგრამ ვინ იცის, იქნება ესეცა ნახოს თელავის ქუჩებმა, თუმცა უკანასკნელი განცხადება ემსგავსება კიდეც.

სულ პირველად განცხადება სასალდათოებს შეეხებოდა: მთავრობამ ჯერ-ჯერობით ვერ შეიწყნარა თქვენი თხოვნა, მაგრამ უმაღლესი მთავრობა დარწმუნებულია თქვენ მამულიშვილურ გამსჭვალულობით, რომ ყველანი გახვალთ სამსახურშიო. ამასთან ჩამოთვლილი იყო რუსეთის ის გუბერნიები, სადაც სამსახურში გაჰგზავნიდნენ. რას ეძებდნენ და რა ჰპოვეს! როგორც ვიცით, ესენი სამშობლოში დატოვებას სთხოვდნენ. ახალგაზრდანი ძალაუნებურად გაემგზავრნენ შორს-ჩრდილოეთისაკენ გულ-დაწყვეტილნი და დაღონებულნი. სამაგიეროდ, იქიდან—კიდევ აქ მოვიდნენ მათი სწორნი მოკლე კურტკებით და ტომარაში გახვეულ ბარგით, იმავე აზრით და ისევე დაღვრემილ პირი-სახით. რასაკვირველია, ესენიც დასტოვებდნენ იქ, შორს შორს, სადღაც, საყვარელ დედ-მამას და-ძმას, ცოლ-შვილს და ნათესაობას...

შემდეგი განცხადებების უმეტესობა რეაქციის ნაყოფს შეეხებოდა, რისთვისაც შინაარსის მოყვანა მეტია.

გავიდა ცოტაოდენი ხანი, ყველაფერი მიივიწყეს, და ახლა კიდევ განცხადება კი არა, გამოაკრეს წესები იარაღის ტარების შესახებ. ყველას აეკრძალება პოლიციის უნებართოთ იქონიოს და ატაროს სასროლი იარაღი, პატრონები და შუბიანი ტროსტები და სხვა. ჩამოთვლილია იარაღის ტარების წესები, ან მაღაზიებმა რა წესებით უნდა ივაჭრონ (თელავში იარაღის მაღაზიები არ არის), და, ბოლოს, აღნიშნულია, ვინც ამას დაარღვევს ან ვისაც ნება დაურთველი იარაღი აღმოაჩნდება, ჯარიმა გადაჰხდება 500 მანეთამდე ან სამ თვემდე საპყრობილეში იქნება დაპატიმრებულიო. ამაზე კიდევ ალაპარაკდნენ მცხოვრებნი, ზოგს არც-კი სჯეროდა, შეიძლება ადგილობრივ მთავრობისაგან არ იყოს, რადგან ხელ-მოუწერავია და არც ქართულად არის გადათარგმნილი, როგორც წინანდელი განცხადებები იყო, მაგრამ მერე გაიგეს, რომ სცდებოდნენ.

ურწმუნო თომა.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

16 მარტი

პეტერბურგი. გუშინ ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით გაიხსნა სხდომები საერთაუწყებისო თათბირისა სახელმწიფოში შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღების შესახებ.—ქალაქებიდან აირჩიეს: დნეპროვსკში—მეშჩანი; დუნაევცაში—ებრაელი; რიაზანში—ნაფიცი ვექილი, ინჟენერი, დამზღვევ საზოგადოების აგენტი და ვაჭარი—ყველანი პროგრესისტებია; მელიტოპოლში—ნაფიცი ვექილის თანაშემწე, მასწავლებელი, ექიმი—ყველა კადეტებია; არხანგელსკში—კადეტი; ბორზნაში—პროფესორი და სასამართლოს სამაზრო წევრი პროგრესისტები, სტაროდუბში—ნაფიცი ვექილი; ნოვაია ლადოგაში—ვაჭარი; მიშკინში—სამაზრო გამგეობის თავმჯდომარე—პროგრესისტი; კოზელსკში—ხარჯთ-აკრეფის ინსპექტორი, კრონშტადტში—ქალაქის თავი,—პარტიის გარეშე მდგომი და ქალაქის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარე—ვაჭარ-მრეწველთა პარტიის წევრი; ელეცში—ბირჟის თავმჯდომარე, მეშჩანი—ვაჭარ-მრეწველთა პარტიის წევრები და სასამართლოს წევრი—კადეტი; სოროკში—4 ებრაელი; ვიაზნიკში—2 ფაბრიკანტი და ერობის სტატისტიკოსი—კადეტები; ბელევში—ვაჭარი; კრომაში—ვაჭარი; ბორისოგლებსკში—საერობო ექიმი და ნოტარიუსი—პროგრესისტები; ტელეში—2 ებრაელი; ნოვგოროდ-სევერსკში—ებრაელი და ქრისტიანე კროლევეცში—მოურავი და დამზღვევ საზოგადოების აგენტი—პროგრესისტები; ჰაისინში—2 ებრაელი.

პარიზი. „ტან“-ი ამბობს, მაროკოს კონფერენციას საფრანგეთისთვის ის შედეგი უნდა მოჰყვეს, უმთავრესად, რომ რუსეთთან კავშირი განმტკიცდეს და დამოწმებულ იქნას საფრანგეთის მეგობრობა ინგლისსა, ესპანიასა და იტალიასთანო.

პალერმო. კუნძულ უსტიკაზე კიდევ ინძრევა ქვესკნელი მცხოვრებლები სტოვებენ კუნძულს.

პეტერბურგი. ქალაქებიდან აირჩიეს: ხარკოვში: სამაზრო ერობის წევრი და საერობო აგრონომი—პროგრესისტები; კალუგაში—ნაფიც ვექილის თანაშემწე, საგუბერნიო გამგეობის თავმჯდომარე, ქალაქის მოურავად ნამყოფი და გრაფი პ. ტოლსტოი—ყველანი კადეტებია; მოგილევში—2 მართლმადიდებელი და ორიც ებრაელი—კადეტები; მშოლაში—ებრაელი და ვაჭარი; კოვნოში—3 ნაფიცი ვექილი, კერძო ვექილი, 2 საპატიო მოქალაქე და ვაჭარი—ყველანი ებრაელებია; შუიაში—კადეტები; რიბინსკში—ვაჭარი, ექიმი, ორი ნაფიცი ვექილი, ერთი 17 ოქტომბრისტი და 3 კადეტი; ონეგაში—ქარხნის მეკასე; ბოლხოვში—ვაჭარი ზომიერი; დმიტრიევსკში—ვაჭარი ზომიერი; ორიოლში—ექიმი კადეტი; ტრუბჩევსკში—ნოტარიუსი მემარჯვენე; მცენსკში—ყოფილი ნაფიცი ვექილი; ნოვო-ალექსანდროსკაში—დამზღვევ საზოგადოების აგენტი—ებრაელი; ორგეევში—ექიმი, ორი ნაფიცი ვექილი და დანტისტი—ყველანი პროგრესისტები. მსხვილ მემამულეთა კრებებზე კუპიანსკში—მარშალი, გამგეობის წევრი, აზნაური და გლეხი; ალექსინში—მარშალი—უკიდურესი მემარჯვენე; ლიგენსკი მაზრაში—საგუბერნიო გამგეობის თავმჯდომარე, მარშალი, მისი კანდიდატი, ორი საერობო უფროსი—ყველანი 17 ოქტომბრისტებია; ურჟუმში—მებატონე კადეტი, ეგორიევსკში—მარშალი უკიდურესი მემარჯვენე; ზარაისკში—რიაზანის ყოფილი გუბერნატორი და რჟევის მაზრის მარშალი—მემარჯვენენი; რიაზანში—სამაზრო გამგეობის წევრი, ნაფიცი ვექილი, კერძო ბანკის დირექტორი, ვაჭარი და გლეხი—ყველანი 17 ოქტომბრისტი; შაცკში—ქსენძი, 5 აზნაური—ამათში 3 პროგრესისტი; პრონსკში—2 17 ოქტომბრისტი; სპასკში—ორი აზნაური, ორი გლეხი და მღვდელი.

რეჟიცა. დვორიანსკი ქუჩაზე პოლკოვნიკ გოლდკოვის დამსჯელმა რაზმმა სამის ზარბაზნის ყუმბარებით გაანადგურა პრისტანის მოიჯარადრის კარ-მიდამო; ეს მოიჯარადრე მეთაურობდა მძარცველთა და ქურდთ. დაიჭირეს ბელადი ბალშაკოვი, მისი შვილი და ერთი ვიღაც უცნობი მათთან ერთად.

17 მარტი.

ბერლინი. „ნორდდოიტჩე-ალგემაინე“ აცხადებს, ტყუილია ხმები, ვითომც იმპერიის კანცლერი სამსახურიდან გასვლას აპირებდეს.

ლიბავა. დაიჭირეს 3 გლეხი, რომელთაც გატეხით აღიარეს, რომ მათ მოჰკლეს გრაფი ლამზდორფი პოლიტიკურის მიზნით.

ასტრახანი. სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლებათ აირჩიეს თ.-აზნაურთაგან: სახელმწიფო ბანკის მმართველი ტიმაშევი და ნაფიცი ვექილი სკვორცოვი-კონსერვატორი. მსხვილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს: ტულის გუბერნიაში. ორი აზნაური—კონსერვატორი; ტარუსაში—საერობო გამგეობის თავმჯდომარე, პენცოვსკში—საერობო უფროსი და გლეხი; სკოპინში ერობის წევრი, საგუბერნიო გამგეობის წევრი და მარშალი—ორი 17 ოქტომბრისტი, მესამე პარტიის გარეშე მდგომი; კასიმოვში უნივერსიტეტ გათავებული გლეხი და ორი ვაჭარი—ყველანი ზომიერი პროგრესისტები; ულტიაუნაში—5 გლეხი ყველანი კონსერვატორებია; კუპიანსკში—გუბერნიის მარშლად ნამყოფი, გამგეობის თავმჯდომარე, საერობო უფროსი და სამი ხმოსანი საგუბერნიო გამგეობისა; მურომში—მარშალი, გოროხოვეცში—აზნაური და გლეხი; პერეასლავის მაზრაში—გლეხი; პოკროვსკის მაზრაში—ფაბრიკანტი; იურიევსკისაში—აზნაური და გლეხი; სუზდალისაში—სამაზრო გამგეობის თავმჯდომარე; ბორისოგლებსკში—თ.-აზნაურთა წინამძღოლი და 5 აზნაური—ყველანი კონსერვატორებია.

პეტერბურგი. ამომრჩევლებათ აირჩიეს ქალაქებიდან: ხარკოვში—ორი კადეტი; ვოლჩანსკში—მარშალი და ხმოსანი ერობისა,—ყველანი პროგრესისტებია; სევსკში—საერობო ექიმი პროგრესისტი; მოდინში—ვაჭარი და აზნაური—კადეტები; კურმიში მემამულეებისაგან—გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც გუბერნატორადაა ნამყოფი, მემამულე დასკოვი; გლეხებისაგან—2 17 ოქტომბრისტი, ქალაქისაგან—ვაჭარი—მონარქისტი; მსხვილ მემამულეთაგანი თ. დოლგორუკოვი, 3 ვაჭარი—ოქტომბრისტებია; კიშინევში ვოლოსტებისაგან 1 მამასახლისი და 1 სოფლელი; მოგილევის გუბ. სამაზრო ქალაქებიდან და ქ. მოგილევოდან: 24 აზნაური, 6 მღვდელი, საპატიო მოქალაქე, მეშჩანი და 18 გლეხი; კირსანოვში—მემამულეთაგან—3 გლეხი, მამულის გამგე, საერობო უფროსი, ვოლოსტის 2 მამასახლისი, 2 მემამულე; იაროსლავში მუშებმა—ორი პროგრესისტი მუშა; სუჯაში რწმუნებულებად აირჩიეს მღვდელი და 18 გლეხი; მალაშოვში წვრილმა მემამულეებმა—13 მღვდელი, 22 გლეხი, 2 ვაჭარი და აზნაური; ორსკში—ვოლოსტების ყრილობებზე—44, მათ რიცხვში სტანიცის ატამანი, 3 მამასახლისი, 13 მუშა; ზარაისკში—წვრილ მემამულეთაგან 7 მღვდელი ქალაქის სასწავლებლის ზედამხედველი, გლეხი და მოხელე.

პეტერბურგი. მსხვილ მემამულეთა კრებებზე აირჩიეს: რაზშოვში 4 მემამულე,—2 კონსერვატორია, ორიც ზომიერი; ტომში—ადგილობრივი მარშალი, ყოფილი გამომძიებელი—ზომიერ მიმართულებისა. ქალაქებიდან აირჩიეს: სუმში—3 ოქტომბრისტი, კუპიანსკში—ორი კადეტი და 3 მემარჯვენე; ბოგოდუხოვში—ორი პროგრესისტი და ერთი მემარჯვენე; დონის როსტოვში—3 კადეტი და ერთი ოქტომბრისტი; ნოვოზიბკოვში—გიმნაზიის მასწავლებელი, ვაჭარი და მეშჩანი—ყველანი ოქტომბრისტები; გლეხების რწმუნებულებათ აირჩიეს: ოსტროვში—მიწის მუშა გლეხები—პარტიის გარეშე მდგომნი, არმიანსკში—სოფლელი გერმანელი. წვრილ მემამულეთა კრებამ აირჩია სუდოსლავში 2 მღვდელი და 7 გლეხი.

ჩიტა. ადმინისტრაციამ დახურა გაზეთი „ზაბაიკალიე“. დაიჭირეს რედაქტორი სალდათოვი და თანამშრომელი მარჩენკო.

ლანსი. დღეს ნანგრევებიდან კურიერში 14 მუშა ამოიყვანეს ცოცხლები; ესენი ქვესკნელში იკვებებოდნენ დაღუპულ ამხანაგებისგან დატოვებულ სანოვაგითა და შვრიით, რომელიც თავლაში იპოვნეს ყველანი ჯან-საღნი არიან გარდა ერთისა.

ლონდონი. დიდი კამათია პრესაში კეტჩენერისა და გრაფ მინტოს სიტყვების შესახებ. „სტანდარტ“-ი და „დეილი-გრაფიკ“-ი იმ აზრისა არიან რომ რუსეთი ჩქარა მოისურვებს შორეულ აღმოსავლეთში დამარცხება ინდოეთში აინაზღაუროს.

პეტერბურგი. მემამულეებმა აირჩიეს: ტიხვინსკში: საერობო უფროსი და წევრი საგუბერნიო გამგეობისა; ჟინდრინსკში.—მაზრის მარშალი, საერობო გამგეობის თავმჯდომარე, ორი ვაჭარი და ვოლოსტის მამასახლისი. ნოვგოროდის კრებამ—გუბერნიის მარშალი, მაზრის მარშალი, ფაბრიკანტი, მღვდელი და გლეხი; უმანსკში—134 გლეხი, 24 მღვდელი და მეშჩანი; დიპოვცასიაში—31 გლეხი და მღვდელი; გოდიაცში—მცირე მიწის პატრონი გლეხები. მირთპოლსკისაში—მღვდელი, 19 გლეხი და ვაჭარი; ოშმიანში—10 ქსენძი, 31 აზნაური, 5 გლეხი და 3 მეშჩანი; ლიდაში 2 ქსენძი და 6 აზნაური; ვილნოსაში—8 მღვდელი, 8 ქსენძი, 7 აზნაური, 1 მეშჩანი, 25 გლეხი; რომნისისაში—65 მღვდელი, 2 მემამულე, 3 ურიადნიკი, დანარჩენი მცირე მიწის პატრონი კაზაკები და გლეხებია. პროსკუროვში მცირე მიწის პატრონმა გლეხებმა აირჩიეს: 4 თანამდებობის პირი; ჩერკასში—მამასახლისი, 2 სტაროსტა და 41 გლეხი.

ლანსი. ცეცხლის მქრობელი მუშები წასვლას აპირობდნენ, მაგრამ უცბათ შეამჩნიეს 13 კაცი, რომელნიც ძლივ-ძლივობით იდგნენ ფეხზე. ერთმა იმათგანმა სთქვა, მესამე ნომერ მაღაროდან მოვედი, სადაც 30-მდე კაცია ცოცხლად დამარხულიო. გადარჩენილი მუშები ფრთხილად ამოიყვანეს ზევით, ისინი ძლიერ დასუსტებული არიან. ამბობენ, მოისმის საშინელი ყვირილი ნანგრევებს ქვეშ მოყოლილ მუშებისას.

პეტერბურგი. ტყუილია ცნობა „დეილი-ქრონიკლ“-ისა ვითომც მინისტრთა საბჭოს განკარგულება მოეხდინოს მანჯურიიდან რუსეთში ჯარების გადმოყვანა შეაჩერეთო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

17 მარტი

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“, აღნიშნავს რა კადეტების გამარჯვებას პეტერბურგის მაზრაში ამომრჩეველთა არჩევნებზე, ამბობს, რომ კადეტების გამარჯვება მათის აგიტაციურის მოღვაწეობის ბრალია და უსათუოდ პროვინციებშიაც ექნება ამ გამარჯვებას თავისი გავლენაო.

ფინანსთა მინისტრმა აღძრა საკითხი, ერობას 4 მილიონი მან. ასესხოს ხაზინამაო. სახელმწიფო საბჭომ განიხილა ეს საკითხი და მოიწონა მინისტრის აზრი. გადასწყვიტეს, ამ ფულის ერთი ნაწილი საგანგებო თანხიდან გასცენ, მეორე ნაწილი-კი იმ ფულებიდან, რომელიც მოულოდნელ გასავლისათვის აქვს გადადებული სახელმწიფოს.

დემოკ. რეფორმათა და თავისუფალ მოაზრეების პარტიებს ქ. პეტერბურგიდან ამომრჩეველთა სიაში, სხვათა შორის, შეუტანიათ 25 პირი, ცნობილნი თავიანთის მოღვაწეობით. ეხლა ესენი უცხადებენ: „ჩვენ დემოკ. რეფორმებისა და თავისუფალ მოაზრეთა პარტიებისათვის არ გამოგვიცხადებია თანხმობა ჩვენი სახელები შეეტანათ მათ მიერ შედგენილ სიაში და ჩვენი გვარების ამ სიაში შეტანა მავნებელია საარჩევნო კომპანიისათვის“ ხსენებული პირები დემოკრატთა პარტიას ეკუთვნიან და მათ სიაში არიან შეტანილი.

ხაბაროვსკი. ვაჭარმა [illegible] 100,000 მან. შესწირა ხაბაროვსკში უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლის დასაარსებლად.

შანხაი. ინგლისი ჩინეთიდან ითხოვს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც არეულობამ მოაყენა მას ნანჩანში ეს ზარალი 7 მილ. მანეთს შეადგენს.

ვაშინგტონი. რათა საზღვაო საიდუმლოებანი სასტიკად იქნას დაფარული, ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა დაითხოვოს გემებზე მოსამსახურე იაპონელები და ჩინელები და მათ ადგილზე ნეგრები ჩააყენონ.

ვლადივოსტოკი. მოვიდა გენ. ანდრეევი, რომელიც დროებით გენ.-გუბერნატორის თანამდებობას ჩაიბარებს ვლადივოსტოკში მომაკვდავ გენ. მიშჩენკოს მაგიერ.

სასტიკი ყურის გდებაა აქ მოსულებზე. კაცებით ადევნებენ თვალს აგრეთვე სახლების წიგნებს, რომლებშიაც მდგმურების გვარებია შეტანილი.

სიმფეროპოლი. კორსუნის მონასტერში წინამძღვრის ბინის აფეთქებას შეეცადნენ.

განჯა. 15 მარტს, ღამით, ცხენოსანი ყაჩაღები დაეცნენ მუსულმანთა საზამთრო კარვებს და გარეკეს 500 სული ცხვარი. უგზოდ დაიკარგა ორი მწყემსი. ყაჩაღები გამოუდგნენ ყაზახებს და ერთი ნაწილი ფარისას სომხების სოფელ კარაკუმშთან მოასწრეს.

ვარშავა. რუდსკის ფაბრიკაზე რადგანაც [illegible] გაათავეს რწმუნებულების არჩევნები [illegible] სია ფაბრიკის დირექტორს გადასცეს შესანახად. დღეს მივიდა დირექტორთან მუშების დეპუტაცია და განუცხადა: არჩევნები უწესოდაა ნაწარმოები და მუშებს ხელახლა სურთ მოახდინონ. დირექტორმა გადასცა დეპუტატებს საარჩევნო ყუთი, მაგრამ მუშებმა ნაკუწ-ნაკუწად აქციეს საარჩევნო სიები და სრულებით უარი სთქვეს არჩევნებზე.

ოსტროვის მაზრაში იარაღი აჰყარეს 10 საერობო დარაჯს, და წაართვეს 10 რევოლვერი და 10 ხმალი.

პეტერბურგი. ცარსკოე სელოში ხელმწიფემ დაათვალიერა პირველი საზღვაო ბატალიონი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ბალტიის პირას მხარეში არეულობის ჩაქრობაში.

ერთი ჯგუფი გერმანელ ამომრჩევლებისა, რომელიც 17 ოქტომბრის კავშირში იღებდა მონაწილეობას, გამოვიდა ამ კავშირიდან და კადეტებს შეუერთდა. მიზეზი ის არის, რომ ამ კავშირს თავის კანდიდატთა რიცხვში, სხვათა შორის, ვინმე პროფესორი ბუდილოვიჩიც შეუტანია.

სმოლენსკი. რევოლვერით მოჰკლეს ჟანდარმთა პოლკოვნიკი გლადიშევი. მკვლელი მიიმალა.

კიევი. დაიჭირეს ორი მძარცველი, რომლებზედაც ეჭვი აქვთ მიტანილი დემიევკაში ფოსტის კანტორის გაძარცვაზე.

რიგა. 6 შეიარაღებული კაცი შეიჭრა ელევატორის კანტორაში და შეეცადნენ კანტორაში საფულე ყუთის გატეხვას, მაგრამ [illegible] მოხერხს, რამდენჯერმე დასცალეს თოფები და მიიმალნენ.

მოსკოვი. არა მტკიცდება ის ცნობა, ვითომ პავლე დოლგორუკოვი სენატის სასამართლოში მიეცათ.

გამოირკვა, რომ ვაჭართა საკრედიტო საზოგადოებიდან ფულები რევოლიუციონერებს გაუტაცნიათ.

მოსკოვი. საერთო საერობო ორგანიზაციამ 100,000 მან გაჰგზავნა სარატოვის გუბერნიაში დამშეულთა დასახმარებლად.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

სვირის ღვინო

გავხსენი ვაჭრობა სვირის საუკეთესო ლისების ღვინოებისა ბოთლი 20 კაპეიკიდან 40 კაპეიკამდე. ვედროობით მორიგებით. დიდუბეში რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ, საკუთარ სახლში. პატივისცემით ვ. ხომასურიძე. (10—1)

ქუთაისში

ალექსანდრე კოსტავას სავაჭრო გადავიდა ტფილისის ქუჩაზე, ქალაქის სახლებში, ქალაქის აფთიაქის გვერდით, სადაც 15 მარტიდან დაიწყება დიდი იაფი დამზადებული ტანისამოსის გასყიდვა. (5—1.—3)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა მარტის 20-ს, ორშაბათს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გასუფთავება ქალაქის ყველა რაიონებში. საჭიროა 150 მანეთის ბეს წარმოდგენა. (5. 2—2)

საყმაწვილო ჟურნალი

ნაკადული

სურათებით

წელიწადი მეორე

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურიას ბინაზე, ალექსანდრეს ქუჩა, № 5. რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.